

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

ბერიძე სოფიო

ფერეიდნელი ქართველები

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

ბიჭური

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეული პრობლემის – ფერეიდნელი ქართველების საკითხის გაშუქებას.

ირანის პროვინცია ფერეიდანში ქართველები (ძირითადად, კახეთისა და ჰერეთის მკვიდრები) შაჰ-აბას I-ის მიერ განხორციელებული 1614-1617 წლების ოთხგზისი სისხლისმღვრელი შემოსევის შემდეგ მოხვდნენ. ამ შემოსევების შემდეგ ტყვედ წაყვანილი ქართველები ირანის სხვადასხვა პროვინციაში ჩაასახლეს, მაგრამ ქართული ენისა და ცნობიერების შენარჩუნება ასეთ დონეზე მხოლოდ „ფერეიდნელმა გურჯებმა“ მოახერხეს.

ნაშრომში განხილულია აღნიშნული ლაშქრობებისა და ქართველთა ირანში გადასახლების მიზეზები, მიზნები და შედეგები. დახასიათებულია ფერეიდანი, აქაური ქართველები და მათი ყოფა-ცხოვრება. გაშუქებულია ისტორიულ სამშობლოსთან ფერეიდნელთა დამოკიდებულების თავისებურებანი, მათი ურთიერთ-კავშირები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი თანამედროვე პერიოდში მიმდინარე ურთიერთობების წარმოჩენას.

დასასრულს, გამოთქმულია იმედი, რომ, ღვთის შეწევნით, საქართველო შესძლებს ფერეიდანისა და მისი მსგავსი სხვა მტკივნეული პრობლემების ღირსეულად მოგვარებას და ქართველი ერი სულიერად გაერთიანდება.

Annotation

The following article is about to make clear one of the most painful problems called Iranian Georgians.

Georgians (particularly residents of khakheti and hereti) were migrated by hour-times bloodthirsty invasion (1614-1617), which was implemented by Shah Abbas after these invasions. Georgian captives were settled in various Iranian provinces. Nevertheless, only „fereidan Georgians” managed to keep Georgian language and consciousness as well. In this article there are considered both: the issues about remarked invasions and the reasons, goals and consequences of Georgians migration into Iranian provinces as well. This article describes fereidan itself, local Georgians and the life they lead. Besides this, there are also remarked their attitudes towards their historical homeland and relationships and different stages.

All in all, we all have hope and faith in God, that Georgia will be able to solve the problems like Iranian Georgians and our nation will be unanimous and united in near future.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I - წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა	
§.1. წყაროები	7
§.2. ისტორიოგრაფია	9
თავი II - ქართველთა დიდი გადასახლება ირანში	
§.1. შაჰ-აბას I შემოსევები აღმოსავლეთ საქართველოში	11
§.2. ქართველთა დასახლებები ირანში	21
§.3. ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების ისტორიიდან	27
თავი III - ფერეიდანის ახალი და უახლესი ისტორია	
§.1. კავშირის აღდგენა ფერეიდანთან	40
§.2. ფერეიდანი და საბჭოთა საქართველო	48
§.3. ფერეიდნელ ქართველთა თანამედროვე ყოფა	56
დასკვნები	65
გამოყენებული ლიტერატურა	71

შესავალი

საქართველო მრავალსაუკუნოვანი, ბრწყინვალე, მაგრამ, ამავე დროს, მძიმე და სისხლიანი წარსულის მქონე ქვეყანაა. ჩვენი ერის ისტორიაში ბევრია წარსულის ტკივილიანი ფურცელი, მაგრამ ფერეიდნელი ქართველების ამბავი მათ შორისაც კი გამორჩეულია. როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, ეს იშვიათი ფენომენია. ძნელია ბევრი იპოვო იმის მაგალითი, რომ მტრული გარემოცვის მართლაც რომ აზვირთებულ ოკეანეში პატარა კუნძულივით მოქცეულ მცირე ეთნიკურ ჯგუფს ასეთი შეუპოვრობით გაეძლოს 400-წლოვანი მძიმე წნეხისათვის და დღემდე მოეტანოს თავისი ეროვნული სული, გული და ცნობიერება. ღვთის შეწევნით, ასეთი რამ ირანში იძულებით გადასახლებულმა ფერეიდნელმა ქართველებმა მოახერხეს.

ფერეიდნელი ქართველები დიდი ხნის მანძილზე მოკლებული იყვნენ სამშობლოსთან სერიოზული კავშირების შესაძლებლობებს. არადა მათ ძალიან სჭირდებათ საქართველოს მხრიდან მეტი ყურადღება. დღეს არსებობს საშუალებები აქტიური ურთიერთობების დასამყარებლად ჩვენს ბედკრულ, მაგრამ გაუტეხელ თანამემამულეებთან. ამას, ფერეიდნელების მიმართ არსებული ჩვენი მორალური ვალდებულებების გარდა, საქართველოს ეროვნული ინტერესებიც მოითხოვს. სხვათაშორის, ფერეიდნელებს ბევრი რამის სწავლება და მაგალითის მოცემა აქეთ შეუძლიათ ჩვენთვის.

ვფიქრობთ, ჰერებისა და თურქეთში დარჩენილ ქართველობასთან ერთად, ფერეიდნელების ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლის საკითხიც ყოველთვის აქტიურად უნდა იდგეს დღის წესრიგში

ნაშრომში, შესაძლებლობის ფარგლებში, ნათლად და მკაფიოდაა ასახული ფერეიდნელი ქართველების როგორც ყოფა-ცხოვრება, ასევე მათი მდგომარეობა ირანში, თუ რა პოლიტიკურ წნეხს განიცდიდნენ და განიცდიან ისინი საუკუნეების მანძილზე.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი და გარემოება. ჯერ ერთი, ფერეიდნელი ქართველობა ჩვენი ერის

სისხლხორცეული ნაწილია, თანაც ერთ-ერთი ღირსეული და დასაფასებელი ნაწილი. ფერეიდნელებში ქართული სულისკვეთება ვერც დრომ ჩაკლა და ვერც ირანელთა ძალმომრეობამ და ზეწოლამ. დრამატიზმითა და ეროვნული სულით გაჟღერებული მათი ცხოვრების ფურცლები კიდევ უფრო გამდიდრებს ჩვენი ერის საერთო ქართულ ისტორიას.

მეორეც, ფერეიდნელი ქართველების ისტორია სათანადო დონეზე შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის და თავად ეს ფაქტიც განაპირობებს საკითხის აქტუალობას. ნამდვილად საჭიროა ფერეიდნული პრობლემატიკის უფრო ღრმად შესწავლა. ეს დროის მოთხოვნილებაცაა – ჩვენს შორის კავშირი დღეს საკმაოდ ინტენსიურია და ეს მოითხოვს, უფრო სრულყოფილი ცოდნა და წარმოდგენა გვექონდეს მათზე.

და ბოლოს, ფერეიდნული ფენომენი იშვიათი მოვლენაა და მისი არსის სიღრმისეული შესწავლა-გააზრება საინტერესოა როგორც მეცნიერული, ისე ეროვნული თვითმყობადობის უკეთ შენარჩუნების თვალსაზრისით.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომში მიზნად დავისახეთ, სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გადმოგვეცა ფერეიდნელი ქართველების ისტორია მათი ირანში გადასახლებიდან დღემდე. ვფიქრობთ, ნაშრომში ნათლად არის წარმოდგენილი ირანელი ქართველების მდგომარეობა ყველა ჭრილში – ეს იქნება ყოფა-ცხოვრება, რელიგია, თუ მათი ფიქრები და გრძნობები ისტორიული სამშობლოს მიმართ.

სათანადო ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე, ირანის უძლიერესი მბრძანებლის შაჰ-აბას I-ის შემოსევების მიზეზებისა და შედეგების გაშუქებას.

კვლევის მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახ. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბათუმის აკაკი წერეთლის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ბიბლიოთეკები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, სხვა ინტერნეტ-რესურსი.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომში წარმოდგენილია ისტორია ფერეიდნელი ქართველების შესახებ 1614 წლიდან დღემდე. შედგება შესავლის, სამი

თავის, ექვსი პარაგრაფისა და დასკვნებისაგან, ბოლოში თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს შესაბამისი სტანდარტებით ნაბეჭდ 74 კომპიუტერულ გვერდს.

თავი I. წყაროები და ისტორიოგრაფია

§. 1. წყაროები

საისტორიო წყაროების სწორი, მეცნიერული გამოყენების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ისტორიული საკითხის შესწავლა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ სხვადასხვა წყარო, რომელთა შორის აღსანიშნავია ფერეიდნელი ქართველის ათამ ონიკაშვილის მონათხრობი, რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“, შემდეგ კი ცნობების სახით გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურის საშუალებით. ჩვენ სწორედ ამ ცნობებით ვისარგებლეთ. ა. ონიკაშვილი იყო პირველი ფერეიდნელი, რომელიც დიდი გადასახლების შემდეგ სამშობლოში ჩამოვიდა და თავისიანების შესახებ მოუთხრო ქართულ საზოგადოებას. ეს მონათხრობი ძვირფასი პირველწყაროა.

ფერეიდნელი ქართველების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ლადო აღნიაშვილმა თავის წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (თბილისი, 1896). იგი იყო პირველი ქართველი, რომელიც ახალ დროში, 1895 წელს, თავად ჩავიდა ფერეიდანში, მოინახულა იქაური ქართველები, გაეცნო მათ ყოფას, საკუთარი თვალთ ნახა თუ სად და როგორ პირობებში უწევდათ ცხოვრება ჩვენს დატანჯულ თანამემამულეებს. აღნიაშვილის ნაშრომი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, მასში თავმოყრილი ინფორმაცია უნიკალურია და დიდ სამსახურს გვინებს იმდროინდელი ფერეიდნელების გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

უმნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის, ასევე, ამბაკო ჭელიძის ნაშრომი „ფერეიდნელი ქართველები“ (თბილისი, 1935). ა. ჭელიძემ მეუღლე სარასთან ერთად 1927 წელს იმოგზაურა ფერეიდანში. თავისი შთაბეჭდილებები შემდეგ წიგნად გამოსცა, რომელიც მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ რიგში, იმით, რომ ავტორი დიდი სიყვარულითა და გრძნობით წერს ფერეიდნელი ქართველების შესახებ, პირად ტკივილად აღიქვამს ამ უდიდეს ტრაგედიას. ასევე, უმნიშვნელოვანესია ის ინფორმაცია, ის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, რაც

წიგნმა შემოგვინახა. მასში ფერეიდნელი ქართველების ბევრი ყოფითი რეალია ძალიან დეტალიზებული სახით არის გადმოცემული, რაც უძვირფასესი წყაროა ჩვენთვის.

ისტენდერ მუნშის ცნობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სამაგისტრო ნაშრომისათვის, რომელიც გადმოგვცემს ირანის, ისე სხვა ქვეყნების განსაკუთრებით ამიერკავკასიის პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. ისტენდერ მუნშის ცნობები აღიარებულია პირველწყაროდ სპეციალისტების მიერ ირან-საქართველოს ურთიერთობების ფართოდ შესასწავლად და გასაცნობად. სპარსული ტექსტი თარგმნა და გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ (გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი 1969წ.).

ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალებია გამოქვეყნებული, ასევე იმდროინდელ პრესაში. ფერეიდნელი ქართველების შესახებ ცნობები სისრულით არის მოცემული გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „საპატრიარქოს უწყებანი“, „აჭარა“, „ბათუმელები“.

ისტორიოგრაფია

ფერეიდნელი ქართველების შესახებ საინტერესო და ვრცელ მასალას გვანვდის, ზ. ჭიჭინაძის „ქართველები სპარსეთში“ (თბილისი, 1895). მასში ნათლად არის წარმოდგენილი იძულებით გადასახლებული ქართველების რაოდენობა, რომელიც ერთ მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო, ასევე წარმოდგენილია გლეხის მდგომარეობა, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და როგორ უთიერთობაში იყვნენ თავიანთ მემამულეებთან. საუბარია ისეთ რიგ საკითხებზე, რაც უკავშირდება მოსავლის გაყოფის წესს, საიდანაც ჩანს გლეხის უფლებების მინიმალურამდე დაყვანა.

მნიშვნელოვანია, ასევე, ი.იმედაშვილის ნაშრომი „ლადო აღნიაშვილი“. ნაშრომში კარგადაა წარმოდგენილი თვით ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობა და ის ღვაწლი, რაც მიუძღვის ფერეიდნელი ქართველებისა და საქართველოს შორის კავშირის დამყარებაში. ნათლად, ჩანს აღნიაშვილის მისწრაფება იმისკენ, რომ ჩასულიყო და მოენახულებინა საუკუნეების წინ გადასახლებული ჩვენი მოქმენი. შეესწალა იქაური ქართველების ცხოვრება, ადათ-წესები. სწორედ აღნიაშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც დაიწყო შორს სპარსეთში გადასახლებული ქართველების ძიება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ შარაშენიძის „ფერეიდნელი გურჯები“, (მეცნიერება 1978) სადაც ავტორი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის ამ პერიოდთან დაკავშირებით ნაშრომში მოკლედაა მოცემული ირან-საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნიდან მოკიდებული ჩვენი წელთაღრიცხვით XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს გაიგოს, თუ რა გზით ხვდებოდნენ ქართველები ირანში.

ფერეიდნელ ქართველებზე საინტერესო მასალებს გვანვდის ასევე ზურაბ შარაშენიძის „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“ (თბილისი,

1969), სადაც ნათლად ჩანს თუ რა მდგომარეობაში იყვნენ გადასახლებული ქართველებ ირანში. ასევე ვგებულობთ ვინ ჩავიდა და მოინახულა პირველად ფერეიდნელი ქართველები.

ფერეიდნელი ქართველების შესახებ საინტერესო ცნობები აქვს ავთანდილ სონღულაშვილს „ირანში ქართველთა ნაკვალევზე“ (თბილისი, 2005). ნაშრომში საკითხი შესწავლილია ქართული, აღმოსავლური და ევროპული ნარატიული წყაროების, ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე. მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, გაშუქებულია ქართველების ისტორია ირანში უძველესი დროიდან დღემდე. წარმოჩენილია საქართველო-ირანის ურთიერთობის ასპექტები. ნაჩვენებია ქართველების როლი ირანის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცალკე ადგილი ეთმობა ფერეიდნელი ქართველების საკითხების განხილვას, რაც ახალი მასალებით არის შეჯერებული.

ვისარგებლეთ მრავალფეროვანი ინტერნეტ-მასალებითაც, რომელმაც დიდი დახმარება გაგვინია ნაშრომზე მუშაობისას.

ასეთია ის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელმაც ძალიან დიდი დახმარება გაგვინია სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში.

თავი II - ქართველთა დიდი გადასახლება ირანში

§1. შაჰ-აბასის შემოსევები აღმოსავლეთ საქართველოში

XVI საუკუნის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს სათავეში სეფიანთა დინასტია მოექცა. თურქმანულ-მომთაბარულ ტომებს, რომლებსაც სეფიანთა ძალაუფლება ეყრდნობოდა, წითელი თავსაბურავების გამო „ყიზილბაშებს“ უწოდებდნენ. ამიტომ, სეფიანთა სახელმწიფოს მეორენაირად ყიზილბაშური ირანის სახელითაც მოიხსენიებენ. ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ყიზილბაშური ირანი აქტიურად დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას.

1514 წელს დაიწყო თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ამ ომის ერთ-ერთი ძირითადი ასპარეზი საქართველო იყო. ორივე მხარე დაჟინებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე, რადგან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში გაბატონება ახლო აღმოსავლეთში გაბატონების საწინდარი იყო. ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში ჩათრეული აღმოჩნდნენ ქართული პოლიტიკური ერთეულებიც. საბოლოოდ, ეს ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი ოსმალეთის უპირატესობით დასრულდა.

1555 წლის 29 მაისს ირანს შაჰ თამაზ I-სა და ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ს შორის ქ. ამასიაში დაიდო ზავი, რომლის მიხედვით ქართლი და კახეთი, ასევე სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანმა ირგუნა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ოსმალეთმა. ქართველ ხალხს ირან-ოსმალეთის ეს გარიგება არ უცვნია. ეს იყო ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი საქართველოს დანაწილება. ქართველი ხალხი განაგრძობდა შეურიგებელ ბრძოლას მოძალადეთა წინააღმდეგ, თუმცა ზავის პირობებით მისი მდგომარეობა უფრო გაართულდა (წონჯოლაური, 2015: 426-427).

ამასიის ზავის შედეგებით არც ირანი და არც ოსმალეთი კმაყოფილი არ იყო, ორივეს უფრო მეტი ამბიციები გააჩნდა საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მიმართ. ამიტომ, როდესაც 1576 წელს შაჰ-თამაზ I გარდაიცვალა და ირანში არეულობა დაიწყო, ოსმალეთმა ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით და 1578 წელს ომი განაახლა ირანთან. პირველ ეტაპზე ეს ომი ოსმალეთის უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1587 წელს ირანის ტახტზე სეფიანთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი, უალრესად ნიჭიერი და ენერგიული, მაგრამ უსასტიკესი და ვერავი პიროვნება შაჰ-აბას I ავიდა.

ირანს ძალების მოკრეფისათვის დრო და მშვიდობა სჭირდებოდა, ამიტომ შაჰ-აბას I-მა საზავო მოლაპარაკებები წამოიწყო ოსმალეთთან. 1590 წლის 21 მარტს სტამბულში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო ზავი. ირანის შაჰი იძულებული იყო მთელი საქართველო ოსმალეთისთვის დაეთმო. გარდა ამისა, ოსმალეთს გადაეცა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, აზერბაიჯანი და ქურთისტანისა და ლურისტანის ნაწილები; ამ ზავის შედეგად ოსმალეთის გაძლიერებამ ევროპის ქვეყნებზე კი შეაშფოთა (ალექსაია, ზოსიძე, 2013:292).

დათმობების სანაცვლოდ შაჰ-აბასმა მოიგო დრო რეფორმების ჩასატარებლად, რათა ქვეყანა ახალი ომისთვის მოემზადებინა. მან დაიწყო თავისი ხელისუფლების განმტკიცება. იგი დაუპირისპირდა ყიზილბაშურ არისტოკრატისა და მათ ნაცვლად დააწინაურა ქართველები, სომხები, ჩერქეზები. ამ დროისთვის ხდება ყიზილბაშური ელემენტების თანდათანობითი განდევნა სამხედრო სფეროდან და მისი ჩანაცვლება კავკასიებით, რომლებიც ასევე განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ სეფიანთა ადმინისტრაციაში. ამ გზით შაჰ აბასმა მოახერხა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის გაძლიერება და მომთაბარე ყიზილბაშების სამხედრო ძალაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება. პარალელურად, შაჰი ხელს უწყობდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასაც (ალექსაია, ზოსიძე, 2013:310).

ირანის შაჰი ცდილობდა ოსმალეთის წინააღმდეგ შეექმნა კოალიცია, რომელშიც ევროპის ქვეყნებთან ერთად რუსეთის ჩაბმაც ჰქონდა განზრახული. ამიტომ იყო, რომ შაჰი თავდაპირველად კახეთის რუსეთთან დაკავშირებას

დიპლომატიური დუმილით შეხვდა, უფრო მეტიც, მან სწორედ ქართველი ქრისტიანი მეფეების – სიმონ I-სა (ქართლი) და ალექსანდრე II-ეს (კახეთი) – მეშვეობით სცადა ევროპის უძლიერეს ქრისტიან ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა (**საქართველოს ისტორია, 2012:137**). მაგრამ ეს იძულებით გამოწვეული დროებითი მოვლენა იყო და აბასი არანაირად არ დაუშვებდა ქრისტიანული რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში.

საგარეო საკითხების მოგვარების პარალელურად შაჰ აბასი დიდ ყურადღებას უთმობდა ირანის შიდა მდგომარეობის გამოსწორებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრას. ამ მიზნით მან მრავალმხრივი რეფორმები გაატარა. შაჰი რეფორმებს, ძირითადად, მის კარზე შემოკრებილი მაჰმადიან ქართველთა მხარდაჭერით ახორციელებდა, მათზე დაყრდნობით განამტკიცებდა ქვეყნის შინაგან, სამხედრო, სამეურნეო, სააღმშენებლო და კულტურულ ცხოვრებას (**სანიკიძე, 1994:80**).

საერთოდ, სპარსეთის შაჰის კარი და სპარსული არისტოკრატია ქართველებთან მოყვრობას და სისხლით დანათესავებას ძალიან მიეღობოდა. „სპარსეთში შაჰიდან დანწყებული და უდაბლესი ქვეშევრდომით დამთავრებული, იშვიათად შეგხვდება ადამიანი, რომელსაც ქართველი დედა ან მამა არ ჰყავდნენ. ან უკიდურეს შემთხვევაში ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“ – წერდა ფრანგი ჟან-ბატისტ ტავერნიე. ხოლო გამოჩენილი ინგლისელი ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი აღნიშნავდა, რომ სპარსეთში არ არის არცერთი არისტოკრატული გვარი, რომლის სისხლი არ იყოს გაკეთილშობილებული ქართველის ან ჩერქეზის სისხლითო. თვით შაჰ-აბასს თავი მოჰქონდა ქართველებთან ნათესაობით და ქართული ენის სრულყოფილი ცოდნით. იგი მაღალ დონეზე აფასებდა ქართველი კაცის უნარსა და ნიჭს, ამიტომ სახელმწიფოს რეფორმატული საქმიანობის სათავეშიც ქართველი ალავერდი-ხან უნდილაძე ჩააყენა, რომელსაც თანამშემწეებად ინგლისელი ძმები – ანტონ და რობერტ შერლები დაუნიშნა. უნდილაძემ რამდენიმე ათასკაციანი მკაცრად განვრთნილი და კარგად შეიარაღებული ჯარი შექმნა. როგორც იმ დროისათვის ირანში მყოფი იტალიელი მოგზაური და მეცნიერი პიეტრო დელა ვალე მიუთითებდა, „ირანის ახალშექმნილი არმიის მთავარ ძარღვს ქართული მხედრობა შეადგენდა“ (**სანიკიძე, 1994:80-82**).

ირანში ქართველების დიდი რაოდენობით თავმოყრა განაპირობა შაჰ-აბასის წინამორბედი შაჰების, მათ შორის შაჰ-თამაზის მიერ საქართველოზე განუწყვეტელმა თავდასხმებმა და ქართველების დიდი რაოდენობით ტყვედ წამოყვანის ფაქტმა. ალბათ ამ გარემოებამ დაარწმუნა შაჰ-აბასი, თუ რა სასარგებლო იქნებოდა მისთვის საქართველოს ქართველებისაგან დაცლა და მათი ირანში გადმოსახლება, რასაც ასე დაჟინებით ცდილობდა იგი შემდგომ.

გატარებული რეფორმების შედეგად ირანი გაძლიერდა. 1603 წელს შაჰ აბასმა დაარღვია 1590 წლის ზავი და ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ეს ომი მცირე ინტერვალებით 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰ-აბასის მიზანი ამ ომში 1590 წ. ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალეთის განდევნა იყო. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე კი შაჰ-აბასს კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ახალი მეტოქე გამოუჩნდა ძლიერი რუსეთის სახით, რომელსაც უკვე დაედო მთარველობის ხელი კახეთისათვის. შაჰ-აბასს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში არანაკლებ სახიფათოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთისა, მით უმეტეს, რომ ქართველი მოღვაწეები დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთის დახმარებაზე როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანის ინტერესები მოითხოვდა ოსმალეთთან ერთად რუსეთის უკუგდებასაც. ამდენად, “გურჯისტანის საკითხის” მოგვარება (აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაჰ-აბასისათვის ახლად დაწყებულ ომში (საქართველოს ისტორია, 2012:142-143). ანუ შაჰის ოცნება იყო დაებრუნებინა თურქებისგან წართმეული ირანული მიწები და მთლიანად ამიერკავკასია, ხოლო გამორჩევით საქართველო დაეჭირა ისე მტკიცედ, რომ არასოდეს მისი დაუფლების იმედი აღარ გასჩენოდა არც მოსისხლე ოსმალეთს და არც უკვე ჩრდილოეთიდან მოწოლილ „მეგობარ“ რუსეთს (სანიკიძე, 1994:82). განსაკუთრებით კახეთის უინიჰქონდა შაჰს, რომელიც ქართული პოლიტიკური ერთეულებიდან ყველაზე მეტად აქტიურობდა რუსეთთან კავშირის ძიებაში.

დასახული მიზნების შესრულება შაჰ-აბასმა თავდაპირველად შეფარულად, ირანში ბავშვობიდანვე მიჰყვალდა წაყვანილი და გამაჰმადიანებული კახელი უფლისწულის, ალექსანდრე II-ის ვაჟის კონსტანტინე-მირზას ხელით სცადა.

1605 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე მისმავე შვილმა კონსტანტინემ მოკლა. კონსტანტინე შაჰის კარზე იყო გაზრდილი და გამაჰმადიანებული. ალექსანდრე მეფის მკვლელობაში შაჰის ხელი ერია. შაჰ-აბასს სურდა რუსთომოყვარე და ირანის ორგული ალექსანდრეს კახეთის სამეფო ტახტზე მაჰმადიანი და ირანის ერთგული კონსტანტინე ჰყოლოდა, მაგრამ შაჰი შეცდა. გადაგვარებული და მამის მკვლეელი კონსტანტინე კახელებმა მეფედ არ ისურვეს და აჯანყდნენ. აჯანყებულებს ქართლის ჯარიც მიეშველა. კონსტანტინე თავისი ყიზილბაშებით დამარცხდა და ომში მოიკლა (ჯავახიშვილი..., 1943:293). სანამ ოსმალეთთან ომი მიმდინარეობდა, აბასი თავს იკავებდა კახეთის წინააღმდეგ აშკარა აგრესიისაგან, ამიტომ კონსტანტინეს კახეთში გამეფების მცდელობა მისსავე პირად ამბიციებს მიაწერა და მეფედ ალექსანდრეს შვილიშვილი, თეიმურაზ დავითის-ძე ცნო. კახეთისათვის სამაგიეროს გადახდა კი უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდო. ეს დროც მალე დადგა.

„ირან-ოსმალეთის ომი 1612 წელს დასრულდა ირანის გამარჯვებით. შაჰმა საქართველოსთვის მოიცალა. მას არ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება. შაჰი ხედავდა, რომ ოსმალეთმა მხოლოდ დროებით აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოზე. ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის ხელახალი ჩარევაც გამორიცხული არ ყოფილა, ამიტომ შაჰი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას, იქ მუსულმანური მოსახლეობის ჩასახლებას და სახანოების შექმნას“ (საქართველოს ისტორია, 2012:206).

თავიდან შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეების ხელში ჩაგდება ეშმაკობით სცადა. ეს საქართველოს დაპყრობას გაუადვილებდა მას. აბასმა, იმავე 1612 წელს, ვითომდა სანადიროდ, თავისთან დაიბარა კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II. „მეფეები შაჰს არ ეახლნენ. ეს, თაქტობრივად, აჯანყებას და ირანის ვასალობაზე უარის თქმას ნიშნავდა“. განრისხებული შაჰი საომრად გაემზადა (წონკოლაური, 2015: 457).

1613 წელს შაჰ აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა. გამოვლო არდებილი, ყარაბაღი და განჯაში დაბანაკდა. თან ხმებს ავრცელებდა, ოსმალეთს წინააღმდეგ სალაშქროდ ვემზადებო. ამავე დროს, ოსმალეთს

დარხეული ხმები ზავის დარღვევად რომ არ ეცნო, სულთანს ელჩი გაუგზავნა და თავისი ნამდვილი მიზანი – ქართლ-კახეთში ლაშქრობა აცნობა (საქართველოს ისტორია, 2012:207).

შაჰ-აბასი ენერგიულად ემზადებოდა ქართლ-კახეთის მეფეთა და მათი მომხრეების წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიების მისაღებად. დიდი წინასწარი მუშაობის შედეგად, მას არამარტო თავისთან ჰყავდა მრავლად ლუარსაბისა და თეიმურაზის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალები, „არამედ თვით ქართლსა და კახეთშიაც ბლომად იყვნენ შაჰის წყალობის მოიმედენი“ (ბერძენიშვილი, 1973: 226).

განჯიდან შაჰ აბასმა თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და მძევლად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მძევლის მიცემა, მაგრამ კახეთის მესვეურებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი იძულებული გახდა ჯერ უმცროსი შვილი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე უფროსი შვილი ლევანიც. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზის დაიბარა თავისთან, მაგრამ თეიმურაზი არ წავიდა. კახი მოღვაწეებიც მიხვდნენ, შაჰ აბასს ბაგრატიონების ამონყვეტა და კახეთში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი. შაჰმა მძევლები – თეიმურაზის ვაჟები და დედა – ირანში გაგზავნა, თავად კი დიდძალი ჯარით სწრაფად გადმოლახა საზღვარი და 1614 წლის გაზაფხულზე კახეთში შეიჭრა (საქართველოს ისტორია, 2012:207; წონკოლაური, 2015: 458).

თეიმურაზმა წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა კახეთი დაეტოვებინა, გზა ბრძოლით გაიკაფა და ქართლში გადავიდა. თეიმურაზმა, – წერს შაჰის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში, – „ვერარ შესძლო თავის სამყოფელ ადგილზე გაჩერება, თავისი ოჯახითა და მომხრეებით, აგრეთვე აზნაურებისა და დიდებულების მცირე რიცხვით, რომელნიც დაახლოებით ხუთასი-ექვსასი კაცი იქნებოდნენ, უვალი გზით ქართლის მხარეს გაიქცა და ლუარსაბთან მივიდა. მანაც აგრეთვე ყიზილბაშთა ძლევამოსილი ლაშქრის წინაშე დიდი შიშით ვერ შესძლო გაჩერებულიყო თავის ქვეყანაში და ორივე ერთად ... ბაში-აჩუკისაკენ გაიქცა და იქაურ მეფეს გიორგის ... შეათარეს თავი“ (ისკანდერ მუნში, 1969: 84).

შაჰ აბასის ჯარებმა კახეთი დაიკავეს და 50 დღის განმავლობაში აოხრებდნენ მას. ისკანდერ მუნშის სიტყვებით, მარტო ერწოსა და თიანეთის მხარეში ყიზილბაშებმა

„ოცდაათი ათასამდე ტყვე და ორმოცი ათასამდე ხარი, ძროხა და ცხვარი იშოვეს“ (ისკანდერ მუნში, 1969: 87-88).

შაჰმა უმეფოდ დარჩენილი კახეთის მმართველად ირანში გაზრდილი გამუს-ლიმანებულ-გასპარსებული ბატონიშვილი ისა-ხანი დანიშნა, მოადგილედ კი კახეთის დიდი თავადი დავით ჯანდიერი დაუნიშნა, თავად ჯარით ქართლში გადავიდა, სადაც გორისა და სურამის ციხეები შეაკეთა და შიგ ყიზილბაშთ გარნიზონები ჩააყენა (წონკოლაური, 2015: 459). ამის შემდეგ შაჰ-აბასი ირანში დაბრუნდა.

კახელები ვერ ურიგდებოდნენ ქვეყნის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევის პერსპექტივას და აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. „ირან-ოსმალეთს შორის ომის განახლებამ ეს აჯანყება დააჩქარა. იმერეთს ლტოლვილი თეიმურაზი ოსმალეთს დაუკავშირდა. ისა-ხანი მალე თავის მწყალობელს ეახლა და კახეთის საქმეები ორ უახლოეს კარისკაცს – ჯორჯაძესა და ჯანდიერს ჩააბარა. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს (ალავერდობა დღეს) დაიწყო: ჯორჯაძე და ჯანდიერი აჯანყების მოთავენი აღმოჩნდნენ. აჯანყებულებმა თეიმურაზს მოუწოდეს. მეფე სწრაფად წამოვიდა. იმერეთის მეფემ, დადიანმა და გურიელმა თეიმურაზი არაგვამდე მოაცილეს. ამავე დროს კახ აჯანყებულებს შირვანელები წამოეშველნენ. ისინიც ირანის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ“ (ბერძენიშვილი, 1973: 230-231). ისკანდერ მუნშის ცნობით, აჯანყებულ შირვანელებს დელუ-მელიქად ცნობილი მელიქ ფირი ხელმძღვანელობდა. „შირვანის ველაიეთიც აიშალა და ჯანყი და არეულობა დაიწყო. დელუ-მელიქმაც გაგზავნა კაცი თეიმურაზთან და ერთგულება განუცხადა“ (ისკანდერ მუნში, 1969: 96). ერთობლივი ღონისძიებით თეიმურაზმა და დელუ-მელიქმა კახეთისა და შირვანის ციხეები აიღეს ქვეყანა ყიზილბაშებისაგან განზინდეს. შაჰის მდგომარეობა შეამსუბუქა ოსმალეთის არმიის უნიათო მოქმედებამ, რომელმაც ირანში შეჭრა მომავალი გაზაფხულისთვის გადადო.

განრისხებულმა „შაჰ აბასმა აჯანყების ჩასაქრობად 15-ათასიანი რჩეული არმია გამოგზავნა ცნობილი სარდლის ალი ყული ხანის მეთაურობით“, რომელიც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს (წონკოლაური, 2015: 460). ალი ყული ხანის არმიის განადგურების ცნობა შაჰ აბასი საშინლად განარისხა.

საგანგებო მომზადების შემდეგ, 1616 წელს ადრიან ზაფხულზე შაჰ აბასი უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა. „მას გადანწყვეტილი ჰქონდა მთლიანად მოესპო კახეთის მოსახლეობა – მამაკაცები გაენწყვიტა. ქალები და ბავშვები ტყვედ წაეყვანა და კახეთში თურქმანული ტომები ჩამოესახლებინა“ (https://ka.wikipedia.org/wiki/შაჰ_აბასის_ლაშქრობები_საქართველოში) გზაზე მას ამიერკავკასიის მაჰმადიანური სამფლობელოების მმართველები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით. განჯის მიდამოებში შაჰ აბასს ალი ყული ხანი შეეგება თავისი ჯარის ნარჩენებით.

შაჰი ქართლში შემოვიდა და თბილისს მივიდა. ქართლის მმართველად ბაგრატ ხანი დანიშნა. შემდეგ კახეთში გადავიდა და იქ დაბანაკდა. შაჰმა თავისი ჯარი რამდენიმე ჯგუფად დაყო და კახეთის სხვადასხვა მხარეს გაუსია. ხალხისთვის გახიზვნის საშუალება რომ მოესპო, შაჰმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა (საქართველოს ისტორია, 2012:210).

თეიმურაზ I იძულებული გახდა კვლავ იმერეთში გადახვეწილიყო. „კახეთის მოსახლეობა უდიდეს გასაჭირში ჩავარდა. ნაწილი ალაზანს გაღმა გავიდა, იქ მიწაყრილები აავო, წყლით სავსე თხრილები შემოავლო და თავდასაცავად მოემზადა. დიდი მსხვერპლის ფასად აბას I-მა აღიდებული ალაზანი გადალახა და 20 დღის განმავლობაში უტევდა კახელების სიმაგრეებს. უთანასწორო ბრძოლაში კახელები დამარცხდნენ. მხარე ნანგრევებად იქცა; მამაკაცთა უმრავლესობა მტერს შეაკვდა, ქალები და ბავშვები კი ტყვედ წაიყვანეს“ (https://ka.wikipedia.org/wiki/შაჰ_აბასის_ლაშქრობები_საქართველოში). თვით ისკანდერ მუნშიც აღიარებს, რომ ეს ლაშქრობა განსაკუთრებულად სასტიკი იყო. შაჰის მეომრებმა, – წერს იგი, – „მათი საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ზაგემში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში. რაც თეიმურაზის ... ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე... მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა“ (ისკანდერ მუნში, 1969: 107). მისივე ცნობით, 130 ათასზე მეტი ქართველი კი ტყვედ წაიყვანეს (იქვე). შაჰმა

კახეთში გარნიზონები დატოვა და თბილისზე გავლით ირანისაკენ გაემართა (1616 წლის ზაფხული).

გავიდა შაჰი საქართველოდან თუ არა, გახიზნული კახელები კვლავ მოგროვდნენ და თავიანთ ადგილ-სამყოფელთა შენებას მიჰყვეს ხელი. კახელებმა მიიმხრეს და ააჯანყეს განჯის სახანოს მოსახლეობის ერთი ნაწილიც (საქართველოს ისტორია, 2012: 211). „როგორც კი ამ ამბავმა შაჰის ყურამდე მიაღწია, მან დიდი ლაშქარი შეჰყარა და თავისი სიძის ისა ხან ყორჩიბაშის სარდლობით კახეთში გამოისტუმრა (1616 წლის ბოლო). კახეთში კვლავ დიდი ბრძოლები გაიმართა. ამ ლაშქრობის დროს ირანელებმა ტყვედ წაასხეს დაახლოებით 20 000-მდე მცხოვრები. შაჰმა სასტიკად დასაჯა განჯის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კახეთს მიემგვლა და აჯანყდა“ (საქართველოს ისტორია, 2012:212).

1617 წელს გაზაფხულზე შაჰ აბასი კვლავ გამოემართა საქართველოსკენ. მსხვერპლი ამჯერადაც დიდი იყო. თავიანთ მიწებზე დაბრუნებული კახელები ისევ ულიტეს, ნაწილი დაატყვევეს, ნაწილმა კი კვლავაც გაქცევით უშველა თავს. შაჰ აბასმა კახეთი ორად გაყო. მდინარე ივრის აღმოსავლეთ მხარე განჯის მმართველს ფეიქარ ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი ქართლის მმართველს ბაგრატ ხანს. დაცარიელებულ კახეთში თურქმენების ჩამოსახლება დაიწყო. ამის შემდეგ შაჰი მალე ირანში გაბრუნდა (წოწკოლაური, 2015: 462-463).

აღნიშნული ოთხი შემოსევის დროს (1614-1617წწ.) კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ქალაქს, ციხესიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიას და ქოხსაც კი. ბძოლა უარესად დაუნდობელი იყო. შაჰ აბასის ჯარები ჩეხდნენ ბალებს, ანგრევდნენ და წვავდნენ სახლებს, ეკლესიებს ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ. კახეთის მდიდარი და აყვავებული ქვეყანა ნანგრევებად იქცა.

ბრძოლებში კახეთმა თავისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკარგა. დიდი ნაწილი დაიღუპა, უფრო დიდი ნაწილი კი ირანში გადაასახლეს. იმ დროს გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ისპანის პროვინციებში, აგრეთვე ხორასანში, მაზანდარანსა და სხვ. (საქართველოს ისტორია, 2012:212). კათოლიკე მისიონერი პიეტრო დელა ვალე წერდა რომის პაპს

ურბანუს მერვეს: „დღეს მთელ სპარსეთში არ მოიძებნება არც ერთი სახლი, რომელიც სავსე არ იყოს ტყვე ქართველებით, მამაკაცებთ თუ ქალებითო“ (სანიკიძე, 1994:86). ამ სიტყვებიდანაც ნათელია, რა რაოდენობის ადამიანი გადაუსახლებიათ იმ დროისათვის საქართველოდან, ძირითადად კი კახეთიდან. კახეთი განსაკუთრებით დაიცალა მოსახლეობისაგან. ისკანდერ მუნშის ცნობებით, ბრძოლაში დაღუპულთა გარდა, ათი ათასობით ტყვე კახელი გაუყენეს ირანის გზას (ისკანდერ მუნში, 1969: 88-111). მოსახლეობისაგან დაცლილ კახეთში შაჰ აბასი თავისი ერთგული ყიზილბაშური ტომების ჩამოსახლებას შეუდგა.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს: „კახეთის მოთხრით შაჰ-აბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა: ამით საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო. კახეთში ჩამოსახლებული თურქმანები შაჰის ერთგული დასაყრდენი იქნებოდნენ შორეულ კავკასიაში, ირანს გადასახლებული კახელები კი – კულტურული სოფლის მეურნეი და შაჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები. მართლაც, შაჰის ყულის ჯარში ამ დროს¹² ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა; დიდი უმრავლესობა ამათგან ქართველები იყო“ (ბერძენიშვილი, 1973: 233).

ირანის შაჰის კარზე ქართველების გადასახლების იდეა ახალი არ ყოფილა მაგ., მსგავსი ფაქტის შესახებ მოგვითხრობს VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. მისი ცნობით 542-562წწ. ეგრისში მიმდინარე დიდი ომიანობის დროს ირანის შაჰს ხოსრო ანუშირვანს მსგავსად შაჰ აბასისა გადაუწყვეტია „ლაზიკიდან კოლხები ყველანი გამოესახლებინა, ხოლო მათ ნაცვლად სპარსელები ჩაესახლებინა“ (გეორგიკა, 1965: 92). ამ გადაწყვეტილებას მაშინაც სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზი გააჩნდა რომელთა შორის აღსანიშნავია სარწმუნოებრივი განსხვავებულება. როგორც პროკოპი კესარიელი გვამცნობს, ლაზებსა და ირანელებს შორის განსაკუთრებით ძლიერი იყო განსხვავებულობა მსოფხედველობასა და ცხოვრების წესს შორის, რადგან ლაზები ქრისტიანები იყვნენ, ხოლო სპარსელების სარწმუნოებრივი შეხედულებანი სრულიად სანინააღმდეგო იყო ლაზებისა (გეორგიკა, 1965: 95). მაშინაც, ირანის შაჰი ქართველების ირანში

გადასახლებითა და მათ ადგილზე ერთგული ირანელების ჩამოსახლებით ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას საქართველოში.

1614-1617 წლების შემოსევებმა კახეთში ნახევარი მილიონი ქართველი შეიწირა დახოცილისა თუ ტყვედ წაყვანილის სახით. დედა-წულიანად აყრილი ქართული ოჯახებით დაასახლა შაჰ აბასმა ირანის პროვინციები: თერეიდანი, ხორასანი, მაზდარანი და სხვ. (სანიკიძე,1994:87). ამიერიდან ქართველი კაცის შემოქმედებითი ნიჭი და სამხედრო შემართება ირანის აყვავებას უნდა მოხმარებოდა, სამოთხის მსგავსი ქართული მინა კი მომთაბარე ყიზილბაში თურქმენების სამკვიდროდ გადაქცეულიყო. ასე ანგარიშობდა „ირანის ლომი“. საბედნიეროდ, მისი გეგმები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ქართველობის გადაშენებასა და გაქრობას ვერც ის და ვერც მისი მემკვიდრეები ვერ ეღირსნენ.

§ 2. ქართველთა დასახლება ფერეიდანში

მშობლიური მიწიდან აყრა და უცხო ქვეყანაში გადასახლება, რიცხოვრებად ისეთი პატარა ერისთვის, როგორც ქართველობაა, ძალიან მტკივნეულია და, ამავე დროს, უაღრესად სახიფათო. ეს არც შაჰ-აბას I-ის დროს დანწყებულა და არც მისი მბრძანებლობის შემდეგ დამთავრებულა. ამ საქმეში ირანი და თურქეთი ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებული იქნა ათობით ათასი ქართველი, რომლებსაც ძალიან რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება. მიუხედავად მტრის ძალადობისა და მძიმე მდგომარეობისა, გადასახლებული ქართველები წლების განმავლობაში ინახავდნენ და იცავდნენ თავიანთ ენას, სარწმუნოებას, დამწერლობას და სხვ., რაც ნამდვილად დასაფასებელი და საამაყოა.

საქართველოდან ტყვეების გაყვანა ირანში და მათი იქ დასახლება, როგორც ეს წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ერთის მხრივ, მიზნად ისახავდა საქართველოს ეკონომიკურად დასუსტებას, ქვეყნის სამხედრო პოტენციალის დაქვეითებას, ხოლო მეორე მხრივ – საკუთრივ სპარსეთის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობა-ვაჭრობის აღმავლობა-განვითარებას, სპარსეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდას, ასევე, ირანის შიდა პროვინციების დაცვას მომტაბარე ტომების თავდასხმებისაგან.

გადასახლებული ქართველების რაოდენობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა რიცხვი ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მას გვიჩვენებენ ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი.

ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით, „შაჰ აბასმა გადაასახლა ზოგის თქმით 80 ათასი, ზოგის თქმით 120 ათასი, და ზოგის თქმით 100 ათასი, ზედ მიწვევით კი 100 ათასი მაინც უნდა ვიგულისხმოდ“ (ჭიჭინაძე, 1895:9).

აკად. ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ შაჰს კახეთიდან 40 000 კომლი აუყრია და სპარსეთის სხვადასხვა ადგილას დაუსახლებია (სონღულაშვილი, 2005:76).

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, შაჰის შემოსევის შედეგად კახეთიდან 200 000-მდე ტყვე იქნა წაყვანილი. აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოთვლით

კი კახეთიდან გადაუსახლებიათ 40 000 კომლი (სონღულაშვილი, 2005:77). ამ ცნობათა უმეტესობა ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ 1614 წლამდე როგორი ხალხ-მრავალი და აყვავებული იყო კახეთი, ხოლო შემდეგ რა დონეზე აობრდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტყვედ წაყვანილთა რიცხვი უფრო მეტიც იყო. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროისთვის არ არსებობდა მოსახლეობის ზუსტი აღწერა და წყაროებში მითითებული რაოდენობა მიახლოებითია.

„ძველ ქართველებს სპარსეთში უფრო ასახლებდნენ შემდეგ ადგილებში: მაზნდარანის მიდამოებში, ფარისისტანის, ბაღდადის, შირაზის, თავრიზის და ხორასანს იქით, სადაც ზამთარი 6 თვეს იცი“ – წერს ზ. ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე, 1895:47).

ფერეიდანში ქართველების ჩასახლების იდეა შა-აბასს ეკუთვნის. შაჰ-აბასმა „წარიყვანა აყრილნი კახნი ტყვედ და დასხა რომელნიმე მაზნდარსა, ხვარასანს, ფერიასა“ – მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი (ქართლის ცხოვრება, 1959:401). ფერია ეს იგივე ფერეიდანია. „მთელს იმ პროვინციას, სადაც მოსახლეობენ ქართველები, ეძახიან ფერეიდანს და ზოგნი ფერიასაც“ – ამბობს ლადო აღნიაშვილი, რომელმაც 1895 წელს საქართველოდან პირველმა მოინახულა ფერეიდანი და ფერეიდნელები (აღნიაშვილი, 1896:188).

„ფერეიდანი მდებარეობს სპარსეთის სამხრეთ-დასავლეთით“ (ჭელიძე, 1935:64).

ლადო აღნიაშვილი ასე ახასიათებს აქაურ ბუნებას: „სიმაღლით ფერეიდანი ირანის ყველა დასახლებულ ადგილებზედ მაღალია (2500 მეტრის სიმაღლეზედ არის) ... შესდგება მთლად მთებისაგან და სადაც ეს მთები ცოტა შორი-შორს გადიან ერთმანეთისაგან, იქ, შუაში სოფლებია დამართული. მთები თავისთავად არ არის საიმისო მაღალი, უფრო გორებსა ჰგავს, მაგრამ მთლად ადგილი იმოდონად მაღალია, რომ ამ მაღალ გორაკებზედ გარდა ერთის თვისა, მუდამ თოვლი სძევს ხოლმე ადგილ-ადგილ ხევებში. ჰყერი ძალიან წმინდაა და სალი; წყალი მშვენიერი. ყველა სოფელს აქეთ-იქით მხრიდან ჩამოუდის კამკამი მთიური წყაროები, რომელთაგანაც სდგება პატარ-პატარა ხევები. ეს მთები აძლევს წყალს თითქმის ერთ მესამედ ნაწილს სპარსეთის ქვეყნისას. ზამთარი ძალიან ცივი იცის და ხანგრძლივი“ (აღნიაშვილი, 1896:188).

ფერეიდნელი ქართველების დასახლებისა და შემდგომი ცხოვრების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქ. ისფაჰანთან. ისფაჰანი იყო შაჰ აბას I-ის სატახტო ქალაქი (ჭელიძე, 1935:26). ზეპირგადმოცემით, პირველ ხანებში, შაჰს ქართველები დაუსახლებია ისფაჰანის მახლობლად, ნეჯეფაბადის მიმართულებით (ჭელიძე, 1935:64). შემდეგში კი უმრავლესობა ფერეიდანში გადაუყვანია. შაჰს შემთხვევით არ შეურჩევია ეს ადგილი. რადგან იგი ქართველებში უნარიან მეურნეებსა და გულად მეომრებს ხედავდა, სწორედ ამიტომ გადანყვიტა, რომ ტყვე ქართველების ფერეიდნის მაღალმთიან რაიონში ჩასახლებით მტკიცე ბარიერი შეექმნა ბახთიარების, ლურებისა და ქურთების მომთაბარე ტომებისათვის, რომლებიც თავს ესხმოდნენ და მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებდნენ სეფიანთა სატახტო ქალაქს ისფაჰანს. მოგვიანებით, შაჰის ბრძანებით, სხვა ადგილებში დასახლებული ქართველების ნაწილიც ფერეიდანში ჩაასახლეს, რათა დედაქალაქის დამცავი ზოლი გაეძლიერებინათ (სონლულაშვილი, 2005:108).

1871 წელს ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოსული პიველი ფერეიდნელის ათამ ონიკაშვილის ცნობით, ფერეიდანში სხვა წვრილ სოფლებთან ერთად შემდეგი მსხვილი ქართული სოფლები აღირიცხებოდა, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ: „მარტყოფი – 1000 კომლი, აფუსი – 800 კომლი, თელავი – 900 კომლი, ტაშკენაში – 500 კომლი, ახჩა – 50 კომლი, ბოინი – 60 კომლი, მელაანი – 50 კომლი, მუკუზანი – 100 კომლი, მაჩხანი – 200 კომლი, ზემო აკურა – 30 კომლი, ქვემო აკურა – 20 კომლი“ (ჭიჭინაძე, 1895: 24-25). მისივე სიტყვით, იმ დროისათვის „მთელ სპარსელ ქართველთა რიცხვი 30 ათასამდე უნდა“ ყოფილიყო (ჭიჭინაძე, 1895:25).

ათამ ონიკაშვილს დიდი სურვილი ჰქონია ირანელი ქართველების საქართველოში ჩამოსახლებისა, ამის შესახებ მას გრიგოლ ორბელიანისთვის მიუმართავს: „შეიბრალეთ სპარსელ ქართველნი, მიხედეთ მათ ტანჯვა-მწუხარებას და მოგვეცით დახმარება წინაშე მთავარმართებლისა, რომ ჩვენ საბრალო ქართველთა თხოვნას ყურადღება მიაქციონ და ქართველნი დაიხსნან სპარსთა ტყვეობისაგანო“ (ჭიჭინაძე 1895:36). როგორც ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს, გრიგოლ ორბელიანს თავი აურიდებია შუამდგომლობისათვის, რამაც ათამ ონიკაშვილს ძალიან ატკინა გული (ჭიჭინაძე 1895:37).

ლალო აღნიაშვილის მონაცემებით XIX საუკუნის ბოლოს ქართველებით დასახლებული იყო ფერეიდანის 14 სოფელი. მაგრამ, მის მიერ შეკრებილი ინფორმაცია საკმაოდ განსხვავდება ათამ ონიკაშვილის ცნობებისაგან. აღნიაშვილი ასახელებს შემდეგ სოფლებს და იქ მცხოვრებ კომლებს: „1) შაანათი, სადაც ნახევარი ქართველები არიან, ნახევარი თათრები. მართო ქართველები – 100 კომლი, 2) თოლერი – 220 კომლი, 3) ბოინი – 200 კომლი, 4) ტაშკესანა – 100 კომლი, 5) აფუსი 260 კომლი, 6) ახჩა – 160 კომლი, 7) შაიურდი – 150 კომლი, 8) ჯალჯალი – 100 კომლი, 9) რაბაქი – 140 კომლი, 10) ჩულრუთი – 40 კომლი, 11) მარტყოფი ზემო – 700 კომლი, 12) მარტყოფი ქვემო – 150 კომლი, 13) დეესური – 60 კომლი, 14) ნინოწმინდა – 80 კომლი.“ შემდეგ ასკვნის: „ისე რომ, ჩვენის აზრით, ამ ერთ ადგილას, ფერეიდანში, გურჯი ნაჰაიაში, საიდანაც იყო, ბ-ნი ონიკაშვილი, სულ 2460 კომლია და სულად რომ ჩავაგდოთ 12-15 ათას სულამდე იქნებაო“ (აღნიაშვილი, 1896:192).

ა. ჭელიძის მიხედვით კი ფერეიდანის ოლქის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა (ქართველები და არაქართველები), 1929 წლის აღწერით, უდრიდა 79 000 სულს. აქედან ქართულად მოსაუბრე ქართველები იყვნენ მოსახლეობის ერთი მერვედი ანუ 10 000 სული (ჭელიძე, 1935:64). „ის უბანი, სადაც დასახლებული არიან ქართველები, – წერს ა. ჭელიძე, – დამორებულია ქალაქ ისპაჰანზე ას ოთხმოცი კილომეტრით. თვით ქართველების უბანი, არის ორასი კვ. კილომეტრი. ისინი დასახლებული არიან მთების კალთებში“ (იქვე).

იმავე პერიოდისათვის ქართველთა თითქმის იმავე რაოდენობას ასახელებს საარივო მასალები, რომელთა მიხედვითაც 1931 წელს ქართველები ცხოვრობდნენ 15 სოფელში 13 ათასამდე სული (სონლულაშვილი, 2005:124).

ფერეიდანში სოფლები ლამაზი და განსაკუთრებულია. ხელთნაშენი საჩრდილე და საბელავი ხეების ტყე მშვენიერი დასანახავია, განსაკუთრებით შორიდან. ამ მხრივ ქართველების სოფლები სჯობს სომხებისა და თურქების სოფლებს. „ძველების“ გადმოცემით საქართველოდან ფერეიდანში გადმოსახლებული ერთი სოფლის ხალხი კვლავ ერთად დასახლებულა და ამ ადგილისთვისაც თავისი სოფლის სახელი უწოდებიათ. ირანელი ავტორების ცნობით ფერეიდანის

ყველაზე დიდი სოფელი მარტყოფია. ამ სოფელში უმრავლესობა ქართველები ცხოვროვდნენ.

ზემო მარტყოფი მდებარეობს ფართო და მიმზიდველ ხეობაში, რომელიც მცენარეულობით არის შემოსილი. მარტყოფის ჰავა ცივი და მკაცრია. ზამთარში ხშირად თოვლისაგან გზები იკეტება. ზაფხული მოკლე და გრილი იცის ცხელ ზაფხუში ხალხი მარტყოფში მიემგზავრება თვით ისტაჰანიდანაც (სონლულაშვილი, 2005:121).

ფერეიდანში გადასახლებულმა ქართველებმა დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა და ქართული ადათ-წესები. ირანის სხვა პროვინციებში ქართული მეტყველება თითქმის აღარ ისმის. ქართველები თანდათან აირიენ ირანის სხვა ტომებში. ქართველთა ისტორიაში ფერეიდნელი ქართველები განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან მათ 400 წლის მანძილზე შეინარჩუნეს თავისი ეთნიკური, ეროვნული სული, რაც შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა: ტყვე ქართველები დაასახლეს კომპაქტურად, რამდენიმე ათეულ სოფლად, ისინი დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ეთნიკური ენდოგამიის წესს (არც მამაკაცები ირთავდნენ არაქართველ ქალებს და არც ქალებს ათხოვებდნენ არა ქართველებზე); ყოველივე ამან ხელი შეუწყო მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას (<https://ka.wikipedia.org/wiki/>).

ზუსტი და დანვრილებითი ცნობები ფერეიდანში ქართველთა ჩასახლებისა და მათი იქ ცხოვრების შესახებ თითქმის არ შემონახულა. თვით ირანში საგანგებოდ იყო მიჩქმალული ფერეიდნელთა ქართველობა და დღემდე მათ რიცხვს ხელოვნურად მიაწერენ და უმატებენ სპარსულ მოსახლეობას.

აღმოსავლეთმცოდნე ზურაბ შარაშენიძე თავის წიგნში „ფერეიდნელი „გურჯები“ აღნიშნავს: „მთელი XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში, არცერთი ქართველი, რუსი თუ ევროპელი მოგზაური არ მოხვედრილა ფერეიდანის მხარეში, რის გამოც ამ პერიოდის არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება იქ მოსახლე ქართველების შესახებ“. მხოლოდ 1840 წელს გაიარა გზად ფერეიდანში ინგლისელმა ჰენრი ლეიარდმა, რომელმაც შემოგვინახა პირველი წერილობითი ცნობა იქ მცხოვრები ქართველების შესახებ. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნეში უკვე იცოდნენ საქართველოში ფერეიდანში არსებული ქართველთა დიდი კოლონიის

შესახებ. ცნობილი ისტორიული პიროვნება იოანე ხელაშვილი თავის ლოცვაში მოიხსენიებს ფერეიდნელ ქართველებს (სონლულაშვილი, 2005:107).

აი, ასე აღმოჩნდა სამშობლოდან გადასახლებული ქართველობა ირანის შუაგულში. მაგრამ, მათდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ უცხო მხარეში გადაკარგულებმა თავი არ დაუხარეს შაჰინ-შაჰის ვერაგულ ზრახვებს. მტრის გასაკვირად ვაჟკაცურად გაუძლეს ყველა გაჭირვებას, დამცირებას და საქვეყნოდ გამოიტანეს ქართველი ხალხს შეუდრეკელი ბუნება და სულიერი სიმდიდრე. ფერეიდნელი ქართველისათვის ყველაზე საამაყო და სანუკვარია ქართველობა და ყველაზე მშობლიური ადგილი დედამინაზე ოცნებად ქცეული საქართველო, რომლის სიყვარულს აკვნიდანვე უნერგავს შვილს ფერეიდნელი დედა (სონლულაშვილი, 2005:149).

§.3. ფერეიდნელ ქართველთა ყოფა-ცხოვრების ისტორიიდან

ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე მათმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა. ისინი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოსაგან იზოლირებულად, უცხო ეთნიკურ და კულტურულ გარემოში. მიუხედავად ამისა, მათ გამოავლინეს თვითგადარჩენის უდიდესი ნიჭი და მიუხედევად განუწყვეტელი ზენოლისა, შეინარჩუნეს არა მხოლოდ ეროვნული ცნობიერება, არამედ ზოგიერთი ქართული ელემენტი ყოფა-ცხოვრებაში. ყოველივე ეს ფერეიდნელებს ძალიან დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდათ – ისინი იძულებული გახდნენ დაეთმოთ ქრისტიანობა და ისლამი მიეღოთ. თუმცა, ესეც მხოლოდ ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ მოხდა.

ირანში ქრისტიან ქართველებს მაჰმადიანობა ძალით მიაღებინეს. ფერეიდანში მცხოვრები ქართველების კულტურა და ყოფა განსხვავებულია თურქეთში მცხოვრები ქართველების კულტურისგან და ყოფისგან, რადგან ფერეიდნელები აღმოჩნდნენ იზოლირებულ მდგომარეობაში. რელიგიამ, ცხოვრების პირობებმა და ეკოლოგიურმა გარემომ მთლიანად შეცვალა მათი ტანისამოსი, სამეურნეო იარაღები და ა.შ. ქართული ყოფიერებისაგან შეინარჩუნეს ეგზოგამოურობა, გვარებად დასახლების ფორმა, არ მიიღეს ურვადი (სყიდვითი ქორწინება) – წერს ეთნოგრაფი რ. თოფჩიშვილი (თოფჩიშვილი, 2010:151-152).

ფერეიდნელების გამაჰმადიანება უცებ არ მომხდარა.

სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ნაშრომიდან ირკვევა, რომ ფერეიდანში ჩასახლებულ ქართველებს აქ ქრისტიანული ტაძრები აუგიათ და მღვდლებიცა და ბერ-მონაზონებიც ჰყოლიათ. ეს ჩანს შემდეგიდან: 1621 წელს შაჰის ხელისუფლებამ ფერეიდანში ჩასახლებულ ქართველებსა და სომხებში ისლამის გავრცელება დაიწყო. ისქანდერ მუნშის სიტყვებით, ხელისუფლების „ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ტაძარი, რომელიც მათ აშენებინათ იმ ადგილებში, სადაც ისინი დასახლდნენ, მიზგითად ყოფილიყო ცნობილი და იქედან მუეძინის ხმა გამოსულიყო“ (ისქანდერ მუნში, 1969:117). ანუ ქართველ ქრისტიანებს ეკლესიები უკვე ჰქონიათ.

მუნი იძულებულია აგრეთვე აღიაროს, რომ ქართველების დიდ ნაწილს, „რომელთაც ბერ-მონაზონთა და მღვდლების წაქეზებით გაუჭირდათ ქრისტიანული რჯულის დატოვება, ქრისტიანობის სხვა რჯულზე გამოცვლა საზიზღარ რამედ მიაჩნდათ“ ... და როცა „დამორჩილების გარდა სხვა გზა არ ჰქონდათ ... ზიზღით შედგეს ფეხი მუსლიმანობის წრეში“ (ისქენდერ მუნი, 1969:118). ამ სიტყვებიდან ირკვევა, რომ ფერეიდნელ ქართველებს სასულიერო პირებიც ჰყოლიათ და მათი წინამძღოლობით საკმაოდ დიდი წინააღმდეგობაც გაუწევიათ გამაჰმადიანებისათვის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ისლამისა და შაჰ-აბასის მეხოტბე ისქენდერ მუნი ამ სიტყვებს თავის ნაშრომში არ შეიტანდა.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწილმა აღიარა ისლამის რჯული. სასულიერო წოდება – ბერ-მონაზვნები და მღვდლები წინ აღუდგნენ სარწმუნოების შეცვლას. მათი მეცადინეობით დიდმა ნაწილმა შეძლო ქრისტიანობის შენარჩუნება. სარწმუნო ცნობებით, შაჰ-აბასმა ქართველები გაათავისუფლა გადასახადებისაგან და არ სდევნიდა ქრისტიანული რწმენის გამო. ფერეიდნელმა ქართველებმა თავდაპირველად, მართლაც შეძლეს მათ მიერ დასახლებულ ადგილებში შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა და აეშენებინათ მცირე ზომის ეკლესიები. ეს პროცესი თითქმის 134 წელი გაგრძელდა (სონლულაშვილი, 2005:140).

ქართული ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომ არ გვაქვს ცნობები ფერეიდნელი ქართველების გამაჰმადიანების დროის შესახებ. მაგალითად, გიორგი ჭიპაშვილისა აზრით: ქართველთა გამაჰმადიანების ისტორია ძნელი აღსადგენია. ამის შესახებ რაიმე წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს (ჭიპაშვილი, 1963:24).

თამილა ცაგარეიშვილის შეხედულებით, ფერეიდნელების გამაჰმადიანების ისტორია დადგენილი არ არის და არც წერილობითი დოკუმენტი არსებობს ამის შესახებ (ცაგარეიშვილი, 1981:9).

ზურაბ შარაშენიძე ისქენდერ მუნის მონაცემებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ფერეიდანში, ბახთიარების მეზობლად დასახლებული ქართველები შაჰ აბასმა გაამაჰმადიანა 1621 წელს (შარაშენიძე, 1979:58), რაც, როგორც დავინახეთ, ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს.

როდესაც ქართველებს მასობრივად მიაღებინეს ისლამი, დაუნგრის ეკლესიები ან მეჩეთებად აქციეს, გაანადგურეს საეკლესიო ქონება, ამის შემდეგ ქართველი სასულიერო წოდება იმალება. ეროვნული ტანსაცმელი იღვევება და იცვლება ირანულით. ქალებისათვის სავალდებულო ხდება ჩადრის ტარება. მეურნეობიდან იღვევება მევენახეობა და ღვინის წარმოება, ტრადიციული ეროვნული დღესასწაულები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. იკრძალება ეროვნული ცეკვები და სიმღერები. ნაცვლად დიდი სტუმართმოყვარეობისა და ჩვეული მხიარულებისა ადგილს იკავებს კარჩაკეტილობა, იზოლაცია, საკუთარი არსებობისათვის მუდმივი შიში. ეროვნული ტანსაცმელი დარჩება მხოლოდ ფართო შარვალი, რადგან მეზობელი ლურისა და ბახთიარის ტომების შარვლების მსგავსი იყო და ირანელთა მხრიდან ყურადღების გარეშე დარჩა. ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველები განიცდიდნენ მუდმივ მეთვალყურეობას. მათ წაართვეს უფლება ესწავლათ მშობლიური ენა დამწერლობა. გამიზნულად ინერგებოდა ირანული ენა, შარიათის ტრადიცია და წეს-ჩვეულება. აიძულებდნენ გაეთავისებინათ და მიეღოთ მუსლიმანური თვითშეგნება (სონლულაშვილი, 2005:142).

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნელი ქართველების გამაჰმადიანება ირანის ხელისუფლებამ ერთბაშად ვერ მოახერხა. ამკარად თუ ფარულად, ქართველების საგრძნობი ნაწილი ქრისტიანობას ინარჩუნებდა. რათქმაუნდა, საბოლოოდ ხელისუფლება არ დაუშვებდა შუაგულ სპარსეთში რამდენიმე ათას ქართველს თავისი სჯულითა და კულტურით ეცხოვრა. აქაური ქართველების გადმოცემით, საბოლოოდ ისინი 1750 წელს, ქერიმ-ხანის ბრძანებით გამოგზავნილ ჯარებს ძალით გაუმაჰმადიანებიათ. გადმოცემის თანახმად, ქერიმ-ხანს ქართველებისათვის ისლამის მიღება და დიდი გადასახადების გაღება მოუთხოვია. საპასუხოდ ქართველები აჯანყებულან. ირანელთა მრავალრიცხოვანი ჯარი მოულოდნელად დასცემია თავს ფერეიდნის ქართველობას. ქართველებს ბევრი უომიათ, შემდეგ სოფ. ზემო ახორის დასავლეთით მდებარე მთაზე გამაგრებულან, რომელსაც დღესაც ციხეს ეძახიან და აქ გაუგრძელებიათ წიანააღმდეგობა. „ქერიმ-ხანის ჯარი ციხეს მოსდგომია. ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელებულა. ბევრი „გავყმიტეთო“ – ყვებიან აქაურები. საბოლოოდ, სიმრავლეს თავისი გაუტანია და ქართველები უხეშ ძალას დამორჩილებიან. „რადგან

მეტი საშველი არ იყო, დათანხმებულან, მიუღიათ ერთპირად მაჰმადის რჯული, და შემდეგ შედგომიან მშვიდობიან ცხოვრებას (ჭელიძე, 1935:82-86)

ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველები განიცდიდნენ მუდმივ მეთვალყურეობას. მათ წაართვეს უფლება ესწავლათ მშობლიური ენა, დამწერლობა. გამიზნულად ინერგებოდა ირანული ენა, შარიათის ტრადიცია და წეს-ჩვეულება (შარაშენიძე, 1979:20).

რელიგიის შეცვლასთან ერთად შეიცვალა ფერეიდნელების ზნე-ჩვეულებები და საყოფაცხოვრებო წესები. ფერეიდნელი ქართველები ასრულებდნენ ყველა იმ რელიგიურ რიტუალებსა და დღესასწაულებს, რასაც ასრულებდა ყველა მორწმუნე მაჰმადიანი (სონღულაშვილი, 2005:143). მაგრამ, ფერეიდნელმა ქართველებმა ის მაინ მოახერხეს, რომ ეროვნული სახე შეინარჩუნეს

ფერეიდნელთა ქართველების ეროვნული თვითშეგნების შესახებ ლ. აღნიაშვილი სამ ელემენტს გამოყოფს: პირველი მათგანი არის ენა, მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი განურჩევლად ასაკისა და სქესისა აღიარებს თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მას სხვანაირად მოხსენიებას, თუ არა გურჯი. „მას ესმის რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამით. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები“.

„მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნო, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, შემბრალებელი და პირში მოქმელი. გასაკვირია, რომ ამ სპარსეთის ქვეყანაში, სადაც ამოდონა ჭირი და მწუხარება გამოუვლიათ, სადაც სრულიად უძლურნი და უღონონი ესე უპატრონოდ ღვთის ანაბარობაზე იყვნენ მიტოვებული ამ სამასი წლის განმავლობაში, მათ სპარსული ფლიდობა და პირფერობა არ შეუთვისებიათ“ (აღნიაშვილი, 1896:199-200).

ფერეიდანში იძულებით დამკვიდრებული კახეთიდან აყრილი მოსახლეობა თანდათან შეეგუა ახალ გარემოს და ცხოვრების დინებას მიჰყვა. ქართველმა გლეხმა იქაც, უცხო მიწაზე თოხსა და გუთანს მოკიდა ხელი, ამრავლა პურის თესლი. გადასახლებულ ქართველებს ირანში ხორბლის ადგილობრივი ჯიშები საკმაოდ დახვდათ, მაგრამ განსაკუთრებით სათუთად ეპყრობოდნენ და უფრო ხილდებოდნენ ისინი საქართველოდან წაღებულ, მშობლიური პურის თესლს, რომელმაც, როგორც

ჩანს, ახალ გარემოშიც შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებები. ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალებიდან ირკვევა, რომ მათ სხვადასხვა ჯიშის ხორბალი მოჰყავდათ. საშემოდგომო ხორბალს ისინი „ყანას“ უწოდებდნენ (ბრეგვაძე, 1974:39).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფერეიდნელი გლეხები სახნავ-სათეს იარაღებს თავისი ხელით ამზადებდნენ ხისგან. დღევანდლამდეა მათი სახელწოდებები შემორჩენილი (ცაგარეიშვილი, 1981:11-12).

ფერეიდნელთა მიწები ანუ „მამულ-წყალი“ იყოფოდა „შიგა მამულებად“ და „გარემამულებად“ ანუ „მაზრებად“. მაზრა სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. იქ ხნავდნენ, თესავდნენ და საქონელს აძოვებდნენ. ფერეიდნელები ეწეოდნენ თესლ-ბრუნვას და მიწების დასვენებას. დასვენებულ მიწას „არვილი“ ერქვა (ფრუიძე, 1975:179).

ფერეიდანში ქართველებმა ვაზიც ახარეს. საინტერესოა, რომ იქ ნაკლებად იცის ვაზმა დაავადება. ფერეიდანში ძირითადად ხარობს ვაზის შემდეგი ჯიშები: ქიშშიში, ბედრი, სევერგუნი, თაბრაზა, ადრეულა, მაჭმუდი. საერთოდ კი ფერეიდანში სოფლის მეურნეობის წარმოება რთულია, ფერეიდანის მხარეში, ისე როგორც ირანის მთელ ტერიტორიაზე, ზაფხულის განმავლობაში იშვიათად მოდის ნალექი და ისიც ისე მცირე, რომ ნიადაგის ზედაპირს ოდნავადაც ვერ ალბობს, რაც ბუნებრივია ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებას (შარაშენიძე, 1979:100). ვაზის გაშენება და ღვინის კეთება კახურად იცოდნენ. ბალებსაც ქართული წესით აკეთებდნენ და შიგ ყველანაირი ხილი მოჰყავდათ. ბალებისა და ვენახების გარშემო ღობეებს ავლებდნენ, რაც ირანელებმა ნაკლებად იცოდნენ (ჭიჭინაძე, 1895: 31). ყურძენს თავიდან ღვინის დასაწურად ხმარობდნენ, მაგრამ, ისლამის ძალადობრივი გავრცელების პარალელურად, ღვინის მოხმარება შეიზღუდა და ყურძენს, ძირითადად, საჭმელად გამოიყენებდნენ.

ნიადაგის სარწყავი მეურნეობა ფერეიდანში პრიმიტიული და თანაც მეტისმეტად შრომატევადი იყო. მიწდვრებს რწყავდნენ ე.წ. „ყანათების“ წყლით. ფერეიდნის მთებში ბევრია ბუნებრივი წყარო, რომლებითაც ფერეიდნელი ქართველები თავიანთ მიწებს რწყავდნენ. ზაფხულის სიცხეებში წყლის აორთქლება

რომ თავიდან აეცილებინათ, წყაროს სათავიდან გამოჰყავდათ მიწის ქვეშა არხები, ე.წ. „ყანათები“. ყანათის წყალი მიწის ზედაპირზე იქ გამოჰყავდათ, სადაც სარწყავი ყანები, ბალები და ვენახები იყო გაშენებული.

ყანათების მოწყობა და გამოყენება დიდ შრომას მოითხოვდა, ამიტომ ფერეიდნელ გლეხს სარწყავი წყალი მეტ წილად წყაროებიდან და ნაკადულებიდან ღია არხით გაჰყავდა. არსებობს სხვა საშუალებაც: ზამთრის წყლის დასაგროვებლად მთის ვიწროებში, ნაკადულისგან გაჭრილ ვიწრო ხრამებში ღორღს და მიწას ყრიდნენ, კალაპოტს ხერგავდნენ, წყალს აგუბებდნენ და ზაფხულში საჭიროების მიხედვით ხმარობდნენ. ასეთი წესით ბოლო დრომდე სარგებლობდნენ. ამ პრიმიტიულ წყალსაცავებს ჰაუზი ანუ აუზი ჰქვია. მიუხედავად აღნიშნულისა, ფერეიდნის სოფლებში სარწყავი წყლის ფასი ყოველთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო (ჭიპაშვილი, 1963:13-14).

ირანის სხვა სოფლების მსგავსად, ფერეიდანის მხარის ქართველთა სოფლებში გლეხისა და მემამულის სამეურნეო ურთიერთობა შუა საუკუნეობრივ ტრადიციულ ხუთელემენტიან საზიარო საიჯარო სისტემას ემყარებოდა. გლეხი მემამულის მიწას იჯარით იღებდა ოთხი წლის ვადით. ზოგჯერ საიჯარო გარიგება ერთი ან ორი წლითაც იღებოდა. მოსავალი ნაწილდებოდა იმის მიხედვით, თუ ვის ხელში იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხუთელემენტიდან ერთ-ერთი: მიწის ნაკვეთი, სარწყავი წყალი, თესლი, შრომის საშუალებანი და მუშახელი. შრომის საშუალებებში შედიოდა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი და მუშა პირუტყვი. სამინათმოქმედო წარმოებაში არსებული ამ ხუთი ელემენტიდან თითოეულის საზღაურად მოსავლის ერთი მეხუთედი იყო გათვალისწინებული. გლეხების უმრავლესობას სრულიად არ გააჩნდა მიწა და წარმოების სხვა საშუალებები. ისინი საკუთარი შრომის ქირად მოსავლის მხოლოდ ერთ მეხუთედ ნაწილს იღებდნენ. ეს გარემოება გლეხს მტკიცედ ამაგრებდა მემამულის მეურნეობაზე და თავისებურ ყმურ მდგომარეობაში აყენებდა. ფერეიდნელი უმინაწყო და მცირე მიწიანი გლეხების ოჯახებს გაზაფხულის დამდეგამდეც არ მიჰყვებოდათ ხოლმე თავისი შრომის პროდუქტი. ისინი იძულებულნი იყვნენ სესხისათვის მიემართათ მემამულისა და სოფლის მეფახმისათვის. სესხი კი ჩვეულებრივ, დიდი პროცენტით იძლეოდათ.

ამრიგად, იქმნებოდა მუდმივად მოუცილებელი სავახშო კაბალა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა გლეხის ოჯახის ისედაც მძიმე ცხოვრების პირობებს. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ საშუალო შეძლების გლეხების მცირე ნაწილს, რომლებსაც საკუთარი ხარები ჰყავდათ და სათესლე მასალა ჰქონდათ. ისინი მოსავლის ორ მესამედს იღებდნენ. იმ გლეხებს, რომელთა განკარგულებაში მართო გამწევი ძალა იყო, საიჯარო გარიგების საფუძველზე მოსავლის ნახევარი ერგებოდათ. მაგრამ უამრავი ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადი ისე ამცირებდა ამ კატეგორიის გლეხების სარჩოს, რომ ფერეიდანში იშვიათი იყო გლეხი, რომელსაც სამეურნეო წლის ბოლომდე გაჰყოლოდა წინა წლის მოსავალი (ჭიპაშვილი, 1963:17-18).

ფერეიდანში მიწათმოქმედების გვერდით სიმბიოზურად წარმოდგენილი იყო მესაქონლეობაც. მთის ნაყოფიერი საძოვრები ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. ისტორიულად ცნობილია, რომ აქ განვითარებული ყოფილა როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობა, უფრო კი, წვრილფეხა მესაქონლეობა, რაც გეოგრაფიული პირობებით ყოფილა განპირობებული (ცაგარეიშვილი, 1981:13).

ფერეიდნელი გლეხის მდგომარეობას ართულებდა საბატონო ბეგარა. გლეხი ვალდებული იყო კვირაში ორი-სამი დღე უსასყიდლოდ ემუშავა მემამულის სასარგებლოდ. მემამულის ან სახელმწიფო მოხელის მოსვლის დროს გლეხი ვალდებული იყო ყოველგვარი სამსახური გაეწიათ მათთვის (ჭიპაშვილი, 1963:17-18).

ფერეიდნელი ქართველების სახლები ალიზით იყო აშენებული, ბრტყელ ბანიანი, მიწით მოტკეპნილი ისევე, როგორც წინათ ქართლის ზოგიერთ სოფელში. ასეთივე შენობები ჰქონდა ყველას, საზოგადოდ, ირანის მთელ ტერიტორიაზე. ბინის შინაგანი მორთულობასა ღარიბული იყო. სახლს ჰქონდა ვიწრო კარ-ფანჯრები. ოთახში დაგებული იყო ნოხი ან ქეჩა. 20-იან წლებში არცერთ ოჯახში, გარდა სეიფოლა იოსელიანისა, სკამი არ ჰქონდათ. სკამს მხოლოდ იშვიათი სტუმრისათვის ინახავდნენ. ეზოებში ყველს ჰქონდა სახაბაზო, თორნე, გომი (ბოსელი), ფიჩხი და გამხმარი წივა, რომელსაც აგუნდავებენ, ახმოებენ მზებზე და ხმარობენ ზამთრობით სათბობ მასალად ქერსში (სონლულაშვილი, 2005:145).

ზოგიერთ სახლში შეხვდებოდით დედაბოძებს მშვენიერი ჩუქურთმებით. თითქმის ყველას ჰქონდა პურის შესანახი კიდობანი. თაროებზე ეწყო სპილენძის ან

თიხის ჭურჭელი. სოფელ ავჭალაში ხმარობდნენ ჩვენებურ თიხის ქოთანს, რომელშიც ლობიოს ხარშავდნენ.

სოფელ ბოინის მცხოვრები მეჭურჭლეობასაც მისდევდნენ. აქ შეხვდებოდით ქართულ ლიტრას, კოკას და ქვევრებს. ამავე სოფელში იყო კუსტარული სამჭედლოები, სადაც ბლომად აკეთებდნენ ქართული ტიპის ბარებს, თოხებს, ნალებს და სხვ. საწარმოო იარაღები, კავ-გუთანი, ურმები ძველი ქართული ტიპისა იყო. მრავალი ოჯახი თავს ირჩენდა ხალიჩების, ნოხების და ფარდაგების ქსოვით. ირანელი ვაჭრები თვეში ორ-სამჯერ ჩადიოდნენ ფერეიდანში და იძენდნენ ქართველი ქალების მოქსოვილ ხალიჩებსა და ფარდაგებს (<http://www.fereidani.ge/articles/236/nakvalevze.php>).

რაც შეეხება სამზარეულოს, ფერეიდნელების საჭმელები თითქმის ქართულია. ბოლო დრომდე შემორჩა მწვადის, ხაშის, ხინკლის, ყაურმის კეთების ტრადიცია, წნილიც ხშირად შეგხვდებათ ქართველთა სუფრაზე. წინა საუკუნეებში, ყოველდღიურ საკვებად, შეიძლება ითქვას, რომ ჰქონდათ პური და ხორცი. თუ რაიმე გადარჩებოდათ წლიური მარაგიდან, გაჰქონდათ ისფაჰანის ბაზარზე გასაყიდად. საზოგადოდ, ირანელი ხალხი შინაურ ფრინველს ნაკლებად ეტანებოდა, მათი ყოველდღიური სასუკვარი საჭმელი ყოველთვის ცხვრის ხორცი იყო, რომელიც მოიპოვება მთელი წლის განმავლობაში. ცხვრის ხორცი შედარებით იაფია. მისგან მზადდება მრავალნაირი საჭმელი და გემოც საუცხოო აქვს. როგორც ა. ჭელიძე აღნიშნავს, ხარის ხორცს იშვიათად ხმარობდნენ, ამასაც უმთავრესად, მოსახლეობის უღარიბეს ნაწილში. ხარი იკვლებოდა აგრეთვე იმ რაიონებში, სადაც სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ. ზოგიერთმა ირანელმა არც კი იცოდა, თუ რა გემო აქვს ხარის ხორცს (ჭელიძე, 1951:50-51).

ჩადრი მაჰმადიანი ქალის განუყოფელი ნაწილია. ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა დღეს ირანში. თუ სხვა ისლამურ ქვეყნებში ქალს შეუძლია საზოგადოებაში უჩადროდ გამოჩენა, ირანში ეს შეუძლებელია (ბართაია, 2001:79). ქართველი ქალები ამ მხრივაც გამოირჩეოდნენ. მაგ. სოფელ თოლერის ქართველი მაჰმადიანი ქალები გასულ საუკუნეშიც კი ჩადრის გარეშე გამოდიოდნენ

ქუჩაში და მხოლოდ უცხო პირებთან შეხვედრის დროს იფარავდნენ სახეს (სონლულაშვილი, 2005 :147).

XIX საუკუნის ბოლოს, როცა ფერეიდანში ლ.აღნიაშვილი მოგზაურობდა, აქაური ქართველების ყოფა-ცხოვრებაში ბევრი არაფერი იყო შეცვლილი წინა საუკუნეებთან შედარებით. „ხალხი მისდევს იმასვე, – წერს ლ.აღნიაშვილი, – რასაც მათი მოძმენი, ჩვენი სოფლის გლეხობა, ესე იგი, ხენას, ბალების შენებას და საქონლის მოვლას. ხელობა და ვაჭრობა ისევე იშვიათია იქაც, როგორც ჩვენში“. მისივე გადმოცემით, ხალხს ტიპი ქართველისა საკმარისად ჰქონდათ შენარჩუნებული. სახლებს აშენებდნენ ისე, როგორც ქართლში იციან. თავის ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდნენ სხვა ტომის ხალხს და არც თვითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვა ტომის ქალები. ქართველებს წმინდად შეუნახავთ თავისი გვარები. „მათის ქრისტიანობის დროიდან“ შემორჩენიათ აგრეთვე ორი ჩვეულება, მაგ.როცა ცომის ზელას მორჩებიან, ზემოდან ჯვარედანად დაჰკრავენ ხელს, ზეიმობენ, აგრეთვე, სულთმოფენობას (აღნიაშვილი, 1896:193-198).

სულთმოფენობას რაც შეეხება, ეს ისეთ დღეს მოდის, როდესაც მთელ სპარსეთში არანაირი დღესასწაული და სამხიარულო დღე არ არის. მაგრამ ქართველებიცა და სხვა ფერეიდნელებიც ერთად იკრიბებიან იმ დღეს, ირთვებიან ახალი ტანისამოსით და გადიან მინდორ მთებში სალხინოდ, დროის გასატარებლად. ჰკრეფენ ყვავილებს და მთელი დღე სახლში არავენ შემოდის (აღნიაშვილი, 1896:198).

საზოგადოდ, ფერეიდნელი გლეხის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, საოცარი და თანამედროვე კულტურული ადამიანისათვის ყოვლად აუტანელი. გლეხების უმრავლესობას სრულებით არაფერი გააჩნდა. ისინი დამოკიდებული იყვნენ ხანებსა და შეძლებულ ვაჭრებზე. ფერეიდნელი ქართველი გლეხების მცირე ნაწილს გააჩნდა პატარა ადგილ-მამული (ჭიჭინაძე, 1895:122).

ასეთი სიღარიბისა და უუფლებობის ბრალი იყო მათი უსწავლელობა. აქაურ გლეხს ექვსი ბატონი ჰყავდა: შაჰი, ხანები, მოლები, ვაჭრები, მემამულეები და მოიჯარადრეები. გლეხს ნება არ ჰქონდა წინ აღდგომოდა ბატონის სურვილს.

მათთვის უსიტყოდ უნდა მიერთმია მოწვეული ჭირნახულიდან კაბალური წილი (ჭიჭინაძე, 1895:123).

მიუხედავად ასეთი შეჭირვებული ცხოვრებისა, ფერეიდნელი ქართველი არ დაცემულა სულიერად და თავისი ქართველობა არ დაუკარგია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლ. აღნიაშვილი გაოცებული იყო მათი უნარით, შეენარჩუნებინათ წინაპართა ტრადიციები, თუნდაც გვარებთან დაკავშირებით. „საკვირელია, – წერს იგი, – რომ სპარსეთში, სადაც საზოგადოდ გვარები არ არის ხმარებაში და სადაც კაცი იცნობება მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, ქართველებს წმინდანად შეუნახავთ თავისი გვარები. გვარები წმინდა ქართულია და ყოველი მათგანი დღემდე ისევე სცოცხლობს საქართველოში... აი აქაური გვარები, რაც კი შევკრიბე: აღიანნი, ბათუაანი, ბასილაანი, ბურციანი, გორგინაანი, გუგუნაანი, გულიაანი, დარისპანაანი, ელარზაანი, ვარდიანი, ზეკოკიაანი, თამაზაანი, თარვერდაანი, ლაჩინაანი, ლობიტაანი (იოსებაანი), მათიაანი, მამუკაანი, მარტიანი, ონიკაანი, სამადაანი, სეფიაანი, სულიკაანი, ფოცხვერაანი, ქევსიაანი, ქურდაანი, შოშიაანი, ხადიკოიაანი, ხატიკაანი, ხუციყაანი“... და სხვა (აღნიაშვილი, 1896:197).

რაც შეეხება ქართულ გვარებს, მათი არსებობა ფერეიდანში ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სამშობლოდან გადასახლების მიუხედავად, მათ ცნობიერებაში მაინც დარჩა ქართული ელემენტები. ფერეიდანში განსაკუთრებით გავრცელებული გვარებია: მიქელაშვილი, დავითაშვილი, ასლანიშვილი, ბათუაშვილი, ონიკაშვილი, ხუციშვილი, იოსელიანი და სხვ. (საათაშვილი, 2013:50).

არსებობს თქმულება, რომ ფერეიდანში „მთა მზიანის“ გორაზე ქართველებს გამოეცხადათ წმიდა გიორგი და ქვა გადასკდა. ეს ადგილი დღესაც სალოცავად აქვთ ფერეიდნელ-ქართველებს. მართალია, ფერეიდნელები ოთხი საუკუნეა ირანის მიწაზე ცხოვრობენ და ირანელებად ითვლებიან, მაგრამ ისინი წამითაც არ ივინწყებენ იმას, რომ ქართველები არიან, რომ მათი ისტორიული სამშობლო საქართველოა. დიდი და პატარა ოცნებობს საქართველოში ჩამოსვლაზე, საქართველოს ნახვაზე.

ფერეიდნელებზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ მათი მეტყველება. „დედისენა“, ასე ეძახიან ფერეიდნელები ქართულ ანუ მშობლიურ ენას. ენის შენახვასთან ერთად მათ შეინახეს ქართველობაც, რადგან ეროვნება მნიშვნელოვან

წილად განისაზღვრება იმით, თუ რომელი ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობ. ენა მოიცავს ისტორიას, ეროვნებას, მენტალიტეტს. სწორედ ენის გამო დათმეს ფერეიდნელებმა რელიგია. ასე, რომ არ მოქცეულიყვნენ, დღეს აღარ ერქმეოდათ ქართველები და ალბათ აღარც მართლმადიდებლები იქნებოდნენ. ენამ შეუნახა მათ საქართველო და ერთმანეთი, რადგან ენაა აერთიანებს ერს, რელიგია კი ინდივიდუალურია.

ფერეიდნელებმა ქართველებმა სხვადასხვა მიზეზის გამო დაივიწყეს ქართული დამწერლობა. მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ენის ცოდნა შეენარჩუნებინათ და შემდეგ – აღედგინათ. ქართულ ენას ოთხი საუკუნის მანძილზე ოჯახებში ასწავლიდნენ. დროთა განმავლობაში სიტყვათა მარაგი შემცირდა და ქართული ენაც შესუსტდა, თავისი თვისებები დაკარგა. ამიტომ იძულებული გახდნენ სიტყვები სპარსულიდან ესესხათ, რამაც ენას თანდათანობით სახე შეუცვალა, თუმცა ქართული ენა თაობიდან თაობას მაინც გადაეცემოდა. მისი დავიწყება სწრაფი ტემპით განსაკუთრებით XX საუკუნეში დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა ქართული წიგნების სიმცირე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოსთან მისვლა-მოსვლა აღდგა და თანამედროვე ქართულის სწავლა ბევრმა მოისურვა. ზოგიერთი დამოუკიდებლად ცდილობდა ქართულის შესწავლას. საიდ მულიანმაც თავისით ისწავლა ქართულად წერა-კითხვა დაახლოებით 20 წლის წინ, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა. სწორედ მაშინ დაფიქრდა ქართული ენისა და წერა-კითხვის შესასწავლი სახელმძღვანელოს შექმნასა და საკვირაო სკოლის დაარსებაზე.

ქართულ-ირანული დედაენა საიდმა ძმასთან, კახასთან ერთად შეადგინა. ეს არის გოგებაშვილის „დედა ენის“ ირანულად ადაპტირებული ვარიანტი. შემდგენლებმა ზოგან ისეთი სიტყვები და ფრაზები დაამატეს, რაც ირანში მცხოვრებისთვის უფრო გასაგები იქნებოდა, თან შეეცადნენ ტექსტები ისეთი ყოფილიყო, რომ მკითხველში პატრიოტული განწყობაც გაეღვიძებინა. მაგალითად, გააზრებულად არის ნახსენები აფხაზეთი, სამაჩაბლო... ეს წიგნი დიასპორის სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა და რადგან მანამდე ამგვარი გამოცემა არ არსებობდა, ძალიან მალე გაიყიდა.

ვინაიდან ქართული ენის შესწავლის მოთხოვნილება და სურვილი ასეთი დიდი იყო, 2000 წელს საიდ მულიანმა გახედა და თანამოაზრეებთან ერთად გახსნა საზაფხულო ქართული სკოლა, რომელმაც დაახლოებით 4 წელი იარსება. ხან სკოლებში, ხან უნივერსიტეტში ატარებდნენ გაკვეთილებს, ზოგჯერ სხვადასხვა პრობლემების გამო მინდორშიც, გარკვეული ხანი საიდის სახლშიც კი. აქ ასწავლიდნენ ანბანს, თანამედროვე ქართულს, ქართულ პროზასა და პოეზიას. სკოლამ რამდენიმე წელი იარსება და სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, დაიხურა, მაგრამ საიდსა და მის მეგობრებს მცდელობა არ დაუკლიათ და რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საზაფხულო სკოლა ისევ გაიხსნა. ქართული სკოლები ჯერჯერობით მხოლოდ მარტყოფსა და ისპაჰანშია.

საინტერესო და გულის ამაჩუყებელია ინტერნეტ სივრცეში საიდის გვერდზე განთავსებული სიტყვები, რომლებიც მან ისპაჰანის ქართული სკოლის გახსნის პირველ დღეს დაწერა: „გუშინ ჩემს ისპაჰანის ქართულ სკოლაში, იმ ოთახში, სადაც მე უნდა ვასწავლო ქართული წერა–კითხვა, ოთახის კარი აღარ იხურებოდა და სწავლის დასრულებამდე ვერც დავხურეთ. ალბათ მიხვდით, ეს უბრალო მოვლენა რატომ არის მნიშვნელოვანი და ძალიან სასიხარულო. ქართველნო, ჩემო დებო და ძმებო, ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ვყოფილვარ ასეთი გახარებული. იცით, რატომ არ იხურებოდა კარი? ჩემს ქართული სკოლაში იმდენი მსურველი მოვიდა, რომ ნამდვილად, ნემსის ადგილიც აღარ იყო. დაუჯერებელი იყო. თვალებს არ ვუჯერებდი, კინალამ სიხარულისგან ვიტირე. შაჰ-აბასის დედაქალაქში, სადაც ის გეგმავდა ქართველთა გადაშენებას, ქართული ენის სწავლის მიზნით ამდენი ხალხი მოვიდა. 200 კილომეტრი გზის გავლის შემდეგ დაღლილობა უცებ გაქრა, 2 საათი გაგრძელდა ეს გაკვეთილი, ისე მიხაროდა, რომ არ გავეჩერებინე, დილამდე ვასწავლიდი. ღმერთო, უზომოდ მაღლობელი ვარ, რომ ეს დღე მანახე და რომ ბედნიერი ვარ, უამრავი ხელოვნური და ბუნებრივი პრობლემის მიუხედავად, ვემსახურო ჩემს ქართველობას“ (<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000164/>).


სამწუხაროდ, ქართველების სოფლებში უცხოტომელთა ჩასახლებისა და ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, დროთა განმავლობაში ფერეიდნელი ქართველების ნაწილში სხვათა მეტყველებამ იწყო გავრცელება და ყველა სოფელში

ერთნაირად ვერ არის დაცული ქართული ენა. იმედი გვაქვს, რომ ღვთის შენეწითა და საიდ მულიანის მსგავსი ქართველების ღვანლით, ყველა ირანელი ქართველი თანდათან კვლავ წინაპართა ენაზე ამეტყველდება.

ირანელი “გურჯები” ამაცობენ თავიანთი წარსულით, თავიანთი ქართველობით. უფროთხილდებიან ირანში არსებულ ყოველგვარ ქართულ კვალს. განსაკუთრებით მოსწონთ თავი ისპაჰანში ალავერდი-ხან უნდილაძის მიერ აგებული 33 თალიანი ხილით. ამბობენ 33 თალი ქართული ანბანის 33 ასოს აღნიშნავსო. ეს ალბათ უბრალოდ ლეგენდაა, რადგან ხიდის აგებისას ქართულში 38 ასო იყო, მაგრამ ფერეიდანში ასე სჯერათ. (<https://storybuilder.jumpstart.ge/ka/pereidani-patara-saqartvelo>).

ალავერდ-ხან უნდილაძე შაჰის კარზე მთავარსარდალი იყო. მის მიერ აშენებული ხილი ისპაჰანში დღემდე მის სახელს ატარებს. ის იძულებით წაიყვანეს ირანში და გაამაჰმადიანეს. მან დიდი როლი ითამაშა ირანში რეფორმების გატარების საქმეში. თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სარდალმაც, განსაკუთრებით, ოსმალეთთან ომში (1603-1612). შაჰის ბრძანებით ალავერდ-ხან უნდილაძე დიდი პატივით დაკრძალეს (კირთაძე, 2013:119).

აი, ასეთი იყო საუკუნეების მანძილზე ფერეიდნელი ქართველების ყოფა და ცხოვრება ირანის შუაგულში. მტრულ გარემოცვაში მოქცეული ერთი მუჭა ქართველობა ვერ გატეხა ძლიერმა ზენოლამ და მათ დღემდე შეინარჩუნეს თავისი სახე.



ალაუერდი-ზან უნდილადის მიერ აგებული 33 თაღიანი ხიდი ისპაჰანში,
მდინარე „ზაიანდე რუდზე“

თავი III - ფერეიდანის ახალი ისტორია

§.1. კაუჭირის აღდგენა ფერეიდანთან

დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი დაახლოებით ოთხი საუკუნეა, რაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ფერეიდანში ბინადრობს. ფერეიდნელი ქართველები საუკუნეების განმავლობაში მონყვეტილი იყვნენ თავისი სამშობლოსაგან, ვერც ისინი ახერხებდნენ საქართველოში ჩამოსვლას და აქედანაც იშვიათად თუ ვინმე მოახერხებდა მათთან მისვლას. საქართველოში ზეპირგადმოცემებიდან იცოდნენ, რომ სპარსეთის მივარდნილ მხარეში მათი მოძმე ქართველები ცხოვრობდნენ. ბევრ ქართველს შემდეგშიც ხშირად უმტყუნა ბედმა და ისტორიის მთელი ამ მონაკვეთის მანძილზე, ნებით თუ უნებლიედ, თავის სიცოცხლეს ირანის შაჰის კარზე ან ამ ქვეყნის რომელიმე პროვინციაში ატარებდა.

სამწუხაროდ, ფერეიდნელთა ვინაობის შესახებ წერილობითი ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. XIX საუკუნის ერთ-ერთი წყაროს თანახმად, უნდა შექმნილიყო საზოგადოება ან კომიტეტი, რომელსაც დაევალებოდა საზღვარგარეთ მცხოვრები და ადგილობრივ მაჰმადიან ქართველთა საქმეების შესწავლა. პირველ რიგში, ამ კომიტეტს უნდა მოეწყო ექსკურსიები სპარსეთში, თურქეთში ქართველ მაჰმადიანთა ენის, წეს-ჩვეულებათა, რელიგიისა და ყოფის ყოველმხრივი შესწავლის მიზნით. მას მჭიდრო კონტაქტი უნდა ჰქონოდა მაჰმადიან ქართველებთან. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს წამოწყება სათანადოდ ვერ განხორციელდა.

ჩვენმა საზოგადოებამ სპარსეთის ქართველობას პირველად მიაქცია ყურადღება გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა ფერეიდანიდან ჩამოვიდა ათამ ონიკაშვილი. საუკუნეების შემდეგ ეს იყო პირველი გახმაურებული შეხვედრა ფერეიდნელი ქართველისა თავის მშობლიურ ერთან. საუკუნეების მძიმე სიჩუმე, ჩვენსა და ფერეიდნელ ქართველებს შორის დაურღვევია შემთხვევით ინგლისელს, რომელსაც თეირანიდან წამოუყვანია ა. ონიკაშვილი, მოუყვანია ბაქომდე თავისი

ხარჯით და შემდეგ გამოუგზავნია თბილისში 1871 წელს. ასე მოულოდნელად მოგვადგა კარზე ისტორიისაგან დავიწყებული ფერეიდნელი ქართველები. ეს იყო პირველი ნაბიჯი გადმოდგმული ჩვენსკენ ისტორიული კავშირის აღსადგენად (ჭელიძე, 1935:5-6).

ათამ ონიკაშვილი იყო ქართულ ენაზე კარგად მოსაუბრე, რომელმაც იცოდა აგრეთვე არაბული, სპარსული და სხვა აღმოსავლური ენები. სპარსეთში დაბადებული და აღზრდილი, როგორც მისი უახლოესი წინაპარი ქართველები, და მათივე მსგავსად, არც მას დაუკარგავს თავისი სამშობლო ენა და ხსოვნა საქართველოსი. საქართველოს შესახებ მას ზღაპრებში უამბობდნენ, რასაც იგი სულგანაბული უსმენდა სხვებთან ერთად. „ათამ ონიკაშვილი იყო სპარსელ ქართველთა შეძლებულ ოჯახის შვილი“. მშობლები ოჯახში ხშირად უამბობდნენ მას, რომ ქართველები იყვნენ, რომ მათი ქვეყანა საქართველოა და რომ ირანში ძალად იყვნენ მოყვანილნი. თავიანთი ძველებისაგან ათამს ხშირად ესმოდა ანდერძად ნათქვამი ვედრება: „ეგების ეცადოთ შინისაკენ დაბრუნებასაო, ეცადეთ აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდეთო“. ათამ ონიკაშვილი ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა ასეთ რამეებს. მას აგრეთვე „ძალიან უყვარდა საქართველოს ძველებური ამბების მოსმენა“ (ჭიჭინაძე, 1895:18-19).

8. ჭიჭინაძის გადმოცემით, ათამ ონიკაშვილი 20 წლის ვაჟუკაცი იქნებოდა, როცა ფერეიდანის მარტყოფიდან თეირანში გადასახლდა სამუშაოს მოსაძებნად. აქ მან ერთ ინგლისელ ინჟინერთან დაიწყო მოსამსახურედ მუშაობა. ათამ ონიკაშვილი შესანიშნავად ასრულებდა თავის მოვალეობას. როცა ინჟინერმა მისი წარმომავლობის ამბავი გაიგო, რუსეთში საქმეზე წამოსულმა ბაქომდე თავისი ხარჯით წამოიყვანა, აქედან ბედნიერი ათამი საქართველოში გამოემგზავრა. ასრულდა დიდი ხნის ოცნება. „მან მალე ნახა ის წამებული საქართველო და ქართველი ხალხი, რომელ ქვეყანასა და ერსაც მისი მშობლები 200 წლის განმავლობაში უკან მოსტირიან მწარე გულით და ცხარე ცრემლებითა. თვით ათამ ონიკაშვილიც არა მცირედ გლოვობდა თურმე საქართველოზე, ამას უფრო ენატრებოდა საქართველოს და ქართველი ხალხის ნახვა, ვინემც მის მშობლებს, აგერ აღუსრულდა მას წადილი და ბევრის შრომის და მეცადინეობის შემდეგ მოვიდა

თავის სამშობლო ქვეყანაში, თავის ტურთა და მტერთაგან წამებულს საგმირო საქართველოში. ათამ ონიკაშვილის მოსვლის ამბავი თბილისში მალე მთელმა ქართველობამ შეიტყო. ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. მალე მიიხმეს და ნახეს ყველა ჩვენმა საპატიო პირებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, ი. გოგებაშვილმა, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დ. ყიფიანმა, გ. ორბელიანმა და პ. უმიკაშვილმა. ამათ დაუწყეს სპარსეთში მყოფთ და დაღუპულთ ქართველთა შესახებ ცნობების გამოკითხვა და საუბარი. ათამ ონიკაშვილმაც დაიწყო საუბარი და ყველაფერი რაც კი იცოდა სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ დაწვრილებით უამბო, მისმა საუბარმა ბევრს ქართველს გაახსენა საქართველოს შავი და ბნელი დღეები, ბევრს ქართველს აუტოკდა გული, ბევრი ქართველი ატირდა მისის საუბრით, ბევრს გადაეშალა თვალთ წინ საქართველოს მწარე დღეები და ის წუთები, როცა ათამ ონიკაშვილის წინაპრებს თავიანთ საყვარელ საქართველოს ამორებდნენ, როცა ისინი სპარსეთში მიჰყვანდათ და სამუდამოდ ასალმებდნენ ქართველთა ცხოვრების მზერას, ქართველებთან კავშირს, ლხინს და ათას ნაირ ვაების დათმენას“ (ჭიჭინაძე, 1895:20-23).

ონიკაშვილის ნაამბობის საფუძველზე გამოქვეყნდა ცნობები იქაური ქართველების შესახებ გაზეთ «დროებაში». ამის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდა ქართველი ხალხის ინტერესი ფერეიდანის მიმართ. ბევრმა ქართველმა გამოთქვა სურვილი წასულიყო და თავისი თვალთ ენახა იქ მცხოვრები ქართველები. ამ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა. საქართველოდან გადასახლებულ ქართველთა ბედ-იღბალზე ქართველი საზოგადოების დაინტერესებას მოწმობს გაზეთ ივერიაში და დროებაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები (სონლულაშვილი, 2005:109-110).

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ათამ ონიკაშვილი შეუდგა ქართული ანბანის შესწავლას. მცირე დროში მას ისე შეისწავლია ქართული, არამარტო კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს, არამედ დაუწყია ფერეიდნელ ქართველებში შემორჩენილი ქართული ზღაპრების ჩაწერაც. ასე სწრაფად ქართული ენის დაუფლებაში ხელი მას შეუწყო, რომ იგი მსახურობდა თბილისის სემინარიაში. აქ კი ბევრი იყო აღმიანი, რომლებიც ენერგიას არ ზოგავდნენ მის გასანათლებლად ათამ

ონიკაშვილმა გააბა მიმონწერა ფერეიდნელ ქართველებთან და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მას განცხადება დაუწერია მთავარმართებლის სახელზე ფერეიდნიდან ქართველების დაბრუნების შესახებ, მაგრამ მის ამ ღონისძიებას შედეგი არ მოჰყოლია. მაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია შ.რუსთვაველის ვეფხისტყაოსანს ზ.ჭიჭინაშის გადმოცემით, ათამს უთქვამს: „მე ბევრი წიგნი წამიკითხავს სპარსულ ენაზე, მაგრამ გეფიცებით ასეთი არაფერი მინახავს და წამიკითხავს“. ონიკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და მის მიერ ჩამოტანილი ამბების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდა ქართველი ხალხის ინტერესი ფერეიდანის მიმართ. ბევრმა ქართველმა გამოთქვა სურვილი წასულიყო და თავისი თვალთ ენახა და გასცნობოდა იქ მცხოვრებ ქართველებს (შარაშენიძე, 1979:62-63).

ეს იყო პირველი მერცხალი. ამის შემდეგ ფერეიდანიდაც გახშირდა სამშობლოში ჩამოსვლის ფაქტები და საქართველოდანაც დაიწყეს გადაკარგული ძმების მონახულება.

ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების შესწავლას, – წერს ამბაკო ჭელიძე, რომელიც თავადაც იმათგანი იყო, ვინც ფერეიდანი მოინახულა, – ამ ბოლო დროს, ჩვენი საზოგადოება სათანადო ყურადღებით ეპყრობა. სამი საუკუნის სიჩუმე შავ ფარდასავით იყო ჩამდგარი ჩვენსა და მათ შორის, არ ვიცოდით ჩვენ მათი არსებობის შესახებ და საერთოდ ცოცხალი იყო ისევ თუ არა ჩვენი წინაპრები. ბევრია ეხლაც ჩვენში, ვინც მათი გადასახლების შესახებ არაფერი არ იცის. ფასდაუდებელია იმ ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც არ დაიშურეს ძალისხმევა, ჩავიდნენ ფერეიდანში მოინახლეს იქაური ქართველები და გაეცნენ მათი ცხოვრების წესს (ჭელიძე, 1935:5).

პირველი იყო ლადო აღნიაშვილი, რომელიც დაინტერესდა ფერეიდნელი ქართველებით. ის დაიბადა 1860 წელს კახეთში. სწორედ აღნიაშვილი იყო ის პიროვნება, რომელმაც დაიწყო შორს სპარსეთში გადასახლებული ქართველების ძიება (იმედაშვილი, 1929:4-5).

ლადო პირველი ქართველი მოგზაურია, რომელმაც ფეხი შედგა ფერეიდნის მიწაზე იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაცნობის მიზნით. ნიშანდობლივია, რომ მან დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნულ ხალხურ სიმღერებსაც. აღნიაშვილმა

შექმნა პირველი ქართული გუნდი და 1886 წელს გამართა კონცერტი. თითქოს ბედმა უბოძა ლადოს ყველაფერში პირველობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის დასასრულისათვის დიდი ინტერესს იჩენდა ირანში მცხოვრები ქართველების მიმართ, მხოლოდ აღნიაშვილმა გადაწყვიტა თავისი სახსრებით გამგზავრებულიყო ამ შორეულ გზაზე, რომ ერთხელ კიდევ მოეხადა ვალი თავისი ხალხის და ქვეყნის წინაშე. ყაზვინიდან დიდის გაჭირვებით ჩავიდა თეირანში. მას ძალიან გაუჭირდა, რადგან არ იცოდა სპარსული. თეირანში ვერაფერი გაიგო ქართველი მოსხლეობის შესახებ და თვე-ნახევარში გაემგზავრა ისტაჰანისკენ. მისი თქმით, ისტაჰანში ამ დროს არ ყოფილა სასტუმრო. მას ერთ-ერთი სომეხი ეპისკოპოსის დახმარებით მოუხერხებია ისტაჰანში ჩამოსულ ფერეიდნელ ქართველებთან შეხვედრა (შარაშენიძე, 1979:63-66).

ლადო აღნიაშვილი 1894 წელს წავიდა სპარსეთში, ძველად გადასახლებულ ქართული სოფლების მოსანახულებლად. ჩავიდა ფერეიდანში, მოიარა აქაური სოფლები და მათი ყოფა-მდგომარეობა აღწერა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1896 წელს გამოსცა წიგნი თავისი მოგზაურობის შესახებ – „სპარსეთი და იქაური ქართველები“, ასევე, ფერეიდანის ქართველთა სამოსახლო ადგილმდებარეობის რუკა სოფლების აღნიშვნით (იმედაშვილი, 1929:46).

ლადო აღნიაშვილმა დაათვალიერა ფერეიდანის ყველა ქართული სოფელი. გადაიღო ფოტოსურათები. იგი ფერეიდნელ ქართველებს სთხოვდა არ მოეხდინათ სისხლის აღრევა სპარსელებთან, შეენარჩუნებინათ ენა და ეროვნული ტრადიციები, ეცხოვრათ მეგობრულად და დალოდებოდნენ განთავისუფლებას. ლადომ, სოფელ ბონის მცხოვრებ ქართველს სამახსოვრო წერილი დაუტოვა. ეს უკანასკნელი რამდენიმე წელი ინახავდა წერილს, როგორც რელიქვიას, მაგრამ ხელისუფლების შიშით გაანადგურა (სონლულაშვილი, 2005:110).

აღნიაშვილის მიერ ფერეიდანის ქართული სოფლების ყოფა-ცხოვრების აღწერა შემდეგნაირია: მისი გადმოცემით ყველა სოფელში ვერ იყო დაცული ქართული ენა, ზოგიერთში კარგად საუბრობდნენ. ხალხი მისდევდა იმ სქემიანობას, რასაც მათი მოძმე, ჩვენი სოფლის გლეხობა, ანუ ხენას, საქონლის მოვლას, ბაღების მოშენებას, ხელობა და ვაჭრობა ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც ჩვენში. ხალხს

ქართველის ტიპი ძალიან კარგად ჰქონდათ შენარჩუნებული, სახლებს აშენებდნენ ისე, როგორც ქართლში. დღემდე ქალებს აქაური ქართველობა არ აძლევდა სხვა ტომის ხალხს და არც თვითონ მოჰყავდათ ცოლებად სხვათა ქალები, ქართველებს წმინდად შეუნახავთ თავისი გვარები (იმედაშვილი, 1929:52).

ამგვარად, დიდი წვალეებისა და გაჭირვების შემდეგ, ლადო აღნიაშვილმა მოახერხა ფერეიდანის მხარის თითქმის ყველა სოფლის ნახვა. იგი იმდენად დაღლილი იყო მოგზაურობით, ბევრი დაბრკოლების გადალახვითა და ხელმოკლეობით, რომ მალე დაუტოვებია ფერეიდანი და სამშობლოში დაბრუნებულა. ლადო აღნიაშვილი ერთ-ერთი თუ არა, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ჩაკლული ეროვნულ კულტურის აღდგენა პრაქტიკულად დაიწყო (შარაშენიძე, 1979:69).

ლადო აღნიაშვილის ღვაწლი დიდად დააფასეს ფერეიდნელმა ქართველებმა, ისინი დღემდე მოწინებთ ინახავენ მის ხსოვნას. აღსანიშნავია, რომ პავლე ლორთქიფანიძის ცნობით, 2006 წლის 4 აგვისტოს მას დაკავშირებია ორი ფერეიდნელი ქართველი – დავით გუგუნაშვილი და გიორგი ხუციშვილი, და გამომშვიდობებისას უთხოვიათ, რომ მათთვის ლადო აღნიაშვილის საფლავი ეჩვენებინა (<http://urakparaki.com/?m=4&ID=24816>).

ლადო აღნიაშვილის შემდეგ მიმოსვლა ფერეიდანთან უფრო ხშირი და ნაყოფიერი გახდა. ქართველი საზოგადოების ცოდნა ფერეიდნელი ქართველების შესახებ გამდიდრდა მას შემდეგ, რაც ამბაკო ჭელიძემ იმოგზაურა ამ მხარეში. მართალია, ეს უკვე საბჭოთა პერიოდში მოხდა, მაგრამ მნიშვნელობით იგი უტოლდება ონიკაშვილისა და აღნიაშვილის მოგზაურობებს. ამიტომ მას მათ გვერდით მოვიხსენიებთ.

1923 წელს თბილისში ჩამოვიდა რამდენიმე კაცი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ირანში საბჭოთა ბანკის გახსნა. სწორედ მათთან ერთად გაემგზავრა თეირანში ამავე წლის შემოდგომაზე ამბაკო ჭელიძეც, როგორც ფინანსური საქმის მცოდნე. ამ საშუალებამ მისცა ჭელიძეს ჩასულიყო ფერეიდანში და გასცნობოდა იქაურ მდგომარეობას. მან ბევრი რამე იცოდა ლადო აღნიაშვილის წერილებიდან. საბჭოთა მისიის შენობაში როდესაც გამოცხადნენ, მათ ნახეს რამდენიმე ჰექტარზე

გადაჭიმული „უზარმაზარი ბალი“, თეჯვისა და ნაძვის ხეებით სავსე. ამბაკო ჭელიძისთვის უამბიათ, რომ ეს ბალი შექმნილი ყოფილა მეფის მთავრობის მიერ შაჰის ვეზირის, ჩამომავლობით ქართველი ათაბაგისაგან. ირანის საბჭოთა ბანკში მუშაობის დანწყებისას ამბაკო ჭელიძე თავის მტკიცე გადანყვეტილებას ფერეიდანში გამგზავრების შესახებ ირანელებს არ უმხელდა. XIX საუკუნის დასასრულისათვის ირანიში მოგზაურობა მეტად სახიფათო იყო (შარაშენიძე, 1979:74-76). ჭელიძემ 1926 წელს მოახერხა ისტაჰანში ჩასვლა, მაგრამ ამ დროს ოქტომბერში უკვე აღარ შეიძლებოდა ფერეიდანში გამგზავრება. ამბაკომ მალე შეიტყო, რომ ისტაჰანში იყო ფერეიდნელი ქართველების ქარვასლა, სადაც შეიძლებოდა მათი ნახვა. მალე დადგა 1927 წელი და ამბაკო ჭელიძეც მოემზადა ფერეიდანში გასამგზავრებლად. საავტომობილო გზა მეტად ცუდი იყო. პირელად ამბაკო მარტყოფში მისულა (შარაშენიძე, 1979:79). ა.ჭელიძეს გაანგარიშებით, მთლიანად ქართული მოსახლეობა 12 545 სულს უდრიდა. აქედან, 20%-ს ქართული აღარ ცოდნია (სონლულაშვილი, 2005:124). ა.ჭელიძის გადმოცემით ქართველების სოფლების რაოდენობა განისაზღვრება 15-16-ით, და შეიძლება დასახელდეს მეტიც. დასახელებულ სოფლებშიაც, არიან ისეთი სოფლებიც, სადაც ქართულად არ ლაპარაკობენ. ქართველების უბანს ეწოდება „გურჯი მაჰალ“. ის ფერეიდანს აღწერს როგორც მალალ, სააგარაკო ადგილს. აქ იცის შედარებით ხანგრძლივი ზამთარი. „წვერის მთაზე“, სადაც უფრო მეტად სახლობენ ქართველები, თოვლი არ დნება ზაფხულამდე. ეს მთა გამოირჩევა თავისი მშვენიერებით, რომლითაც ხშირად ამაცობენ და იშვიათად ვინმე დაგელაპარაკება, რომ თავიანთი „წყალისა და ჰაერის სიმდიდრე“ არ ახსენოს (ჭელიძე, 1935:65). სახლები მეტწილად ერთმანეთზეა მიდგმული, ალიზით აშენებული. ასეთივე შენობენი აქვთ ყველას სპარსეთის ტერიტორიაზე. ეზოებში ყველას აქვთ სახაბაზო, თორნე, გომი (ბოსელი) (ჭელიძე, 1935: 66-67). ა. ჭელიძე განსაკუთრებული სინანულით აღნიშნავს, რომ ირანში ცხოვრების სამასი წლის განმავლობაში ქართველმა კაცმა ვერც შინა მრეწველობისთვის მოიცალა, ვერც ხელოსნობას დაეუფლა და ქალაქში მოიკიდა ფეხი და ვერც განათლებას ეზიარა. 15 სოფელში ერთი სკოლაც არ ჰქონდათ – ამბობს იგი (ჭელიძე,1953:125-126).

ჩვენთვის ფასდაუდებელია ყველა იმ ადამიანის სწრაფვა, ჩასულიყო და მოენახულებინა ფერეიდნელი ქართველები, სწორედ მათი დამსახურებაა, რაც დღეს ვიცით ირანში მყოფი ქართველების მძიმე წარსულის შესახებ.

§.2. ფერეიდანი და საბჭოთა საქართველო

საბჭოთა პერიოდში გართულდა ურთიერთობა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, ერთმანეთისთვის მიუღებელი საბჭოთა და შაჰის რეჟიმების გამო. საქართველოც, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკა, მოკლებული იყო ყოველგვარ პირდაპირ კავშირს ირანთან. იშვიათად თუ მოახერხებდა ამ დროს ვინმე ირანში ჩასვლას, ან ირანიდან საქართველოში ჩამოსვლას.

საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ურთიერთობის გართულების მიუხედავად მაინც ხდებოდა საქართველოსა და ფერეიდანს შორის მიმოსვლა. 1922 წელს ფერეიდნელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი ეწვია საქართველოს. სეიფოლას დიდი იმედი ქონდა, რომ ქართველი ხალხი არ დაიშურებდა უკანასკნელ გროშს ფერეიდნელი ხალხის სულიერი დაკმაყოფილებისათვის. იგი აქ დარჩა 1923 წლის ზაფხულამდე. სანამ იოსელიანს მიუჩენდნენ მისთვის განკუთვნილ ბინას, იგი თითქმის თვენახევრის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში თავისი ძველი მეგობრის, პავლე ლორთქიფანიძის ბინაზე. სეიფოლას მიზანი იყო სკოლის დაარსება ფერეიდნელი ახალგაზრდებისთვის და ქართული ჟურნალ-გაზეთების მიწოდება მათთვის (შარაშენიძე, 1979:73). 1922 წლის 25 აგვისტოს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ დაავალა განსახკომს მოეწყო ექსპედიცია ირანის ქართულ კოლონიებში რსფსრ წარმომადგენლობის დახმარებით და წაეღოთ ქართული გაზეთები ლიტერატურასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შესაბამისი დიპლომატიური ღონისძიებები გაეტარებინა ირანში მცხოვრები ქართველების სასარგებლოდ, ასევე გამოეყო შესაბამისი თანხა სეიფოლა იოსელიანის დასაფინანსებლად საქართველოში ყოფნის დროს. სეიფოლამ საქართველოს ცაკ-ს მიმართა თხოვნით გამოეყოთ მისთვის სათანადო თანხა ირანში, ფერეიდანში, დასაბრუნებლად და ასევე საჭირო სახსრები, რათა მას შესაძლებლობა მისცემოდა ფერეიდნელი ქართველი ბავშვებისათვის ესწავლებინა ქართული წერა-კითხვა და ეზრუნა მომავალი თაობის აღზრდაზე, თუმცა საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ არ დააფინანსა ეს სასიკეთო საქმე. დადგენილებებში აღნიშნული იყო, რომ მას

(იოსელიანს) მიეცა წინადადება მალე წარმოედგინა ცნობა, თუ რამდენი დასჭირდებოდა მას სპარსეთში, თავის სოფელში დასაბრუნებლად და ამის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო მისი გამგზავრების საკითხი. დანარჩენ ნაწილში კი მისი თხოვნა დატოვებული იქნა უყურადღებოდ. 1923 წლის სექტემბერში იგივე თხოვნით მიმართა საქართველოს ცაკ-ს, რაზეც იგივე პასუხი მიიღო, თუმცა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამავე დროს დააყენა საკითხი სპარსეთის ქართულ სოფლებში კულტურულ დაწესებულებათა დაარსების შესახებ, რაც განსახილველად გადაეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცაკ-ს (სონლულაშვილი, 2005:110-111).

1941 წლის 18 აგვისტოს სტალინის ბრძანებით საბჭოთა არმიის მიერ დაკავებულ იქნა ისფაჰანი და თეირანი. ლავრენტი ბერიამ კინო-ოპერატორი ირაკლი კანდელაკი წაიყვანა ფერეიდანის გადასაღებად. ირაკლიმ ფირზე ასახა ფერეიდნელი გურჯების ცხოვრება, რომლის პრემიერაც კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართა, ამ ფაქტის შემდეგ ძალიან ბევრი ფერეიდნელი ქართველი ჩამოვიდა საქართველოში თავისი სამშობლოს მოსანახულებლად, აღსანიშნავია გურამ პატარიძის მიერ ჩაქსოვილი გრძნობა ფილმში „შორია გურჯისტანამდე“ (კვირიკაშვილი, 2006:43).

1942 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლებისა და სსრკ ელჩთან შეთანხმების საფუძველზე, ფერეიდნელი ქართველებისათვის გაიგზავნა 97 დასახელების ლიტერატურა ქართულ ენაზე, ასევე პატეფონის ფირფიტები. ამავე დროს, ხელმძღვანელობის მითითებით, რადიოკომიტეტში მომზადდა საკონცერტო პროგრამები (ქართული ფოლკლორის თემატიკაზე) (სონლულაშვილი, 2005:111).

„1943 წელს, როდესაც სტალინი თეირანის კონფერენციაზე ჩავიდა, აუდიენციაზე ეწვია შაჰს სასახლეში. შაჰი ისე დაიბნა, რომ მუხლებზე დაემხო და სტალინს მხსნელი უწოდა“ (ნაჭყეშია, 2000:247).

სეიფოლა იოსელიანი ცდილობდა გადაეჭრა ირანში მცხოვრებ ქართველთა პრობლემა, რაც გადმოსახლებას ეხება. ამის საფუძველზე მან დაიწყო მოქმედება. 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე ჩამოსული სტალინისათვის მიუმართავს ამ საკითხთან დაკავშირებით. სტალინს პასუხად გაუცია, ეხლა ამის დრო არ არისო.

ფერეიდნელი ქართველების დიდი სურვილი იყო განათლების მიღება, რისი გამოხატულებაც იყო სეიფოლას მიერ საქართველოში ჩამოსვლა და აქედან დედანის წიგნების ჩატანა ფერეიდანში, რამაც დიდი ამაგი დასდო ფერეიდანში ქართული ენის სწავლების საქმეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან, სახელმწიფოებრივ დონეზეც კი ყოფილა მცდელობა, ფერეიდნელ ქართველებში ქართული განათლების შეტანასთან დაკავშირებით (<http://dl.sangu.edu.ge>).

1945 წელს საქართველომ, ცენტრისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თანხმობით, უფლება მიიღო, რომ კახის, ბელაქნისა და ზაქათალას რაიონების სკოლებში გაეგზავნა ქართული ენის მასწავლებლები, ასევე გაეხსნა ახალი სკოლები, რომლებშიც ქართულ მოსახლეობას მშობლიურ ენას შეასწავლიდნენ. 1946 წლის ივნისში, როცა აზერბაიჯანისთვის სამხრეთ აზერბაიჯანის შერთების აღბათობა საბჭოთა ხელმძღვანელებს რეალობაზე მეტად მიაჩნდათ, აზერბაიჯანის ქართული რაიონების – ჰერეთის (საინგილოს) წარმომადგენლებს თხოვნით მიუმართავს ი. სტალინსათვის, ამ ტერიტორიების საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე. 28 ივნისს ეს დოკუმენტი, სტალინის მდივნის ა.პოსკრებიშჩევის მიწერილობით, განსახილველად და შესათანხმებლად გადაეცათ ჩარკვიანსა და ბაგიროვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში, თავისი სომეხი კოლეგების მსგავსად, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესია, რომელმაც აზერბაიჯანის ქართულ რაიონებში მიაღწინა პატრიარქის წარმომადგენელი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული დეკანოზი ალექსი ნათაძე. კრემლი აყენებდა მოთხოვნას სსრ კავშირისათვის ისტორიული სომხური და ქართული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ. სსრკ ხელმძღვანელობისთვის, რომლის პოზიციას საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავდა, ფერეიდნელები, ისევე, როგორც ირანის სხვა უმცირესობანი, მხოლოდ პაიკებს წარმოადგენდნენ დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის სტატეგიული იმპერიული ინტერესების უზრუნველყოფა ირანსა და ახლო აღმოსავლეთში. სწორედ ამით უნდა აიხსნას კრემლის თავშეკავებული დამოკიდებულება თბილისის წინადადებისადმი, რომ

საჭიროა ფერეიდნელი ქართველების ეტაპობრივი დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში. სსრკ ხელმძღვანელობისათვის, რომელიც ითვალისწინებდა ირანის საკვანძო გეოპოლიტიკურ-გეოეკონომიკურ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ფერეიდნელ ქართველებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ იმის გამო, რომ კომპაქტურად ცხოვრობდნენ ირანის ტერიტორიის სიღმეში – ახლოს იყვნენ ერთბაშად სამი ქვეყნის: თურქეთის, ირანის და ერაყის ტერიტორიებზე მდებარე არასტაბილურ ქურთისტანთან, ტრანსირანულ რკინიგზასთან. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება სსრ კავშირის ხელისუფალთა სწრაფვა არა ფერეიდნელი ქართველების რეპატრიაციისადმი, არამედ მათი მეშვეობით შეენარჩუნებინათ ირანში დაძაბულობის კიდევ ერთი პოტენციური კერა (საქ. რესპუბლიკა, 2005:6).

ამ წნეხის პირობებში, 1945 წელს, მაინც შეძლეს ფერეიდანში ჩასვლა ირაკლი კანდელაკმა და გიორგი ასათიანმა, რომლებმაც შექმნეს დოკუმენტური ფილმი ფერეიდანზე, ასევე ფერეიდანში ჩასვლა და დოკუმენტური ფილმის გადაღება შეძლეს რეჟისორმა გურამ პატარაიამ. ჯგუფში იყო ირანისტი თოდუა. მან შეძლო ფერეიდნელებისგან ფირზე ჩაენერა ენობრივი მასალა და ჩამოეტანა საქართველოში, რომელიც შემდეგ დამუშავებული იქნა ენათმეცნიერულად.

საქართველოსა და ფერეიდანს შორის ურთიერთობათა პირველი პერიოდი ორ მონაკვეთად შეიძლება დაიყოს. პირველი მონაკვეთი მოიცავს ურთიერთობებს რუსეთის პირობებში, მეორე კი საბჭოთა კავშირისას. იდეოლოგიურმა ანტაგონიზმა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის მეტად უარყოფითად იმოქმედა საქართველოსა და ფერეიდნელთა შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში. თუ ადრე საქართველო-ფერეიდანს შორის მიმოსვლა შეზღუდული არ იყო და იგი პირად სურვილსა და შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული, საბჭოთა ხანაში იგი პრობლემად იქცა (ბართაია, 2014:18).

საბჭოთა დელეგაციის ჩასვლამ ირანში ბევრს გაუღვიძა იმედი. მას დაჟინებით სთხოვდნენ მფარველობას აზერბაიჯანელები და ფერეიდნელი ქართველები. საელჩოში რამდენჯერმე მივიდა ფერეიდნელ ქართველთა წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი, ესაუბრა სტალინს, უამბო, რომ 1922 წელს საქართველოში იყო ჩამოსული, ყოფილა ფილიპე მახარაძესთან და მისთვის უთხოვია, გადაეწყვიტა

ირანელ ქართველთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი. მახარაძე დახმარებას დაპირებია, ისიც კი აღუნიშნავს, რომ სამგორის ველზე დაასახლებდა მათ, მაგრამ მას შემდეგ ეს დაპირება დავიწყებას მისცემია. სეიფოლამ კიდევ ერთხელ სთხოვა სტალინს, გადაეხედა ფერეიდნელ ქართველთა დაბრუნების საკითხისათვის (სონლულაშვილი, 2005:112).

1947 წლის იანვარში ისტაჰანში საბჭოთა კავშირის კონსულს – კრიუჩკოვს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გ.კიკნაძემ ფერეიდანში მცხოვრები ქართველებისათვის გადასაცემად გაუგზავნა გაზეთები და ჟურნალები. ირანში მცხოვრებ ქართველებს 1946 წელს გაუგზავნა მიმართვა, საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, სადაც აღნიშნული იყო: „ძმებო ქართველებო! უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ შეიტყო, რომ თქვენ მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე მონყვეტილი ხართ დედასამშობლოს, მაინც არ დაივიწყეთ საყვარელი დედა-ენა და შეირჩინეთ საკუთარი ნაციონალური სახე. ისინი მოგცემენ საშუალებას ნაწილობრივ მაინც გაეცნოთ თქვენი დედა-სამშობლოს თანამედროვე ყოფას და წარსულის ისტორიას. ამიტომაც, ჩვენი საზოგადოება გიგზავნით თქვენ და თქვენ შვილებს ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებს, ქართულ წიგნებს. ისინი მოგცემენ საშუალებას ნაწილობრივ მაინც გაეცნოთ თქვენი დედა-სამშობლოს თანამედროვე ყოფას და წარსულის ისტორიას. ჩვენ გიგზავნით მშობლიური ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს. წიგნს დედა-ენას ათეული წლების განმავლობაში სწავლობს ქართველი ბავშვების სულ ახალი და ახალი თაობა. თუ მოისურვებთ ჩვენ გამოგიგზავნით სხვა ქართულ წიგნებსაც. ძმური საღმით უცხოეთთან კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ნიკოლოზ მიქავა“ (სონლულაშვილი, 2005:115). 1947 წლის ზაფხულში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით თეირანში მივლინებული იქნა ასლანიკაშვილი, რომელიც უნდა გასცნობოდა ირანში მცხოვრები ქართველების მდგომარეობას, განსაკუთრებით, კი ფერეიდანში, რასაც ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასლანიკაშვილმა შეძლო ურთიერთობა დაემყარებინა ფერეიდნელ ქართველებთან, რომლებიც იმყოფებოდნენ თეირანში სეზონურ სამუშაოზე. ქართული მხარის

სურვილი იყო ურთიერთობა ჰქონოდა იმ ქართველებთან, რომლებსაც უნდოდათ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში მუდმივად საცხოვრებლად. ქართველები მუშაობდნენ შავ მუშებად, ნაწილი შუშისა და აგურის ქარხანაში. უმრავლესობას საცხოვრებელი არ ჰქონდა და ღამეს ღია ცის ქვეშ ათევდა (სონლულაშვილი, 2005:157-158).

50-იან წლებში თითქმის შეწყდა ურთიერთობა ფერეიდანთან. სტალინის გარდაცვალებამ, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად დაძაბა.

1960 წელს ფერეიდნელი ქართველები საქართველოს ხელისუფლებას უგზავნიან წერილს მათი მძიმე მდგომარეობის შესახებ: ... „გაცნობებთ, რომ ჩვენ ქართველები ცუდად ვცხოვრობთ. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს უმაღლეს საბჭოს აღმოგვიჩინოს მატერიალური და მორალური დახმარება. ვთხოვთ არ გამოიყენოთ ეს ცნობა ირანისათვის თქვენს რადიო გადაცემებში, რადგან ეს წერილი საიდუმლოდ არის დანერგილი და ჩვენ არ გვინდა, რომ ირანის ხელისუფლებამ გაიგოს ამის შესახებ. ირანის ხელისუფლება უპატივცემულოდ გვეპყრობა და არასდროს არ აქცევს ყურადღებას ჩვენს საჩივრებს“. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დღის წესრიგში დადგა ქართველ საზოგადოებაში ფერეიდნელთა საკითხი, რასაც ხელი შეუწყო ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციებმა, პოპულარულმა ლიტერატურამ, ქართულმა პრესამ, სალექციო და კინოპროპაგანდამ. ცოცხალი კადრებით შემოგვინახეს ფერეიდნელთა სახეები კინოხელოვნებმა ირაკლი კანდელაკმა, გიორგი ასათიანმა, გურამ პატარაიამ, ირაკლი ონოფრიშვილმა (სონლულაშვილი, 2005:116-117).

1960-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, მიუხედავად იდეოლოგიური დაპირისპირებისა, დამყარდა ეკონომიკური ურთიერთობა, რაც ძირითადად, საბჭოთა იაფი მუშახელის არსებობით იყო განპირობებული (ბართაია, 2014:18). 1965 წელს თეირანში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სამრეწველო-სავაჭრო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც. ამ გამოფენაზე საქართველოდან წარდგენილი იყო 5 კაცი. სწორედ აქ შეხვდნენ პირველად ფერეიდნელ ქართველებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ გამოფენაზე, ეკითხებოდნენ ქვეყნის შესახებ და თვითონაც უამბობდნენ

ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირანელებზე. გამოფენა ქალაქგარეთ იყო მოწყობილი. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ძნელი იყო კონტაქტის დამყარება ფერეიდნელ ქართველებთან. განხორციელდა მხოლოდ ის, რომ მათ გადაეცათ დედაენის პირველი ნაწილი და ქართული ანბანი. აღნიშნულ წელს უმრავლესობამ არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, 1967 წლის ბოლოსთვის, კი თითქმის ყველას შეესწავილია ქართული წერა-კითხვა (შარაშენიძე, 1969:13-15).

1965 წელს აღმოსავლეთმცოდნე ნოდარ კოჭლაშვილი იქნა მივლინებული თეირანში. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ხელს უწყობდა ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენის შესწავლას. სწორედ ნოდარ კოჭლაშვილია ის პიროვნება, რომელმაც არაერთ ფერეიდნელ გურჯს ასწავლა წერა-კითხვა (კვირიკაშვილი, 2006:43).

ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაში გამორჩეულია 1972 წელი. სწორედ ამ წელს მოხდა ირანიდან 21 ქართული ფერეიდნული ოჯახის სამშობლოში დაბრუნება. მცდელობა კი სამშობლოში დაბრუნებისა, ვხტანგ ონიკაშვილის თქმით, 1967 წელს დაიწყო, როცა 100 ოჯახმა მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და ირანის მთავრობას ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების თხოვნით. ასეთი რამის დაშვება ირანისათვის აღიქმებოდა როგორც მძიმე იდეოლოგიური დარტყმა, რის გამოც ირანის მთავრობას, სანაცვლოდ საბჭოთა კავშირისა, მათთვის შეუთავაზებია ნებისმიერ ევროპულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩასახლება და დახმარების განწევაც კი. როგორც იქნა, ახდა ირანელ ქართველთა 400 წლის ოცნება, ისინი დაბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, რასაც, რათქმაუნდა, დიდი ემოციების გარეშე არ ჩაუვლია. მაგრამ რამდენიმე წელიწადში მოხდა ის, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდით – გარკვეული მიზეზების გამო, 9 ოჯახი უკან დაბრუნდა. ამ მტკივნეული შედეგის მიზეზი, ძირითადად, საბჭოთა საქართველოში არსებული პოლიტიკური და იდეოლოგიური თავისებურებები იყო (ბართაია, 2014:19).

შემდგომ წლებში იყო მცდელობა მდგომარეობის გამოსწორებისა. ამისათვის 1980-იანი წლების ბოლოს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან

შეიქმნა ასოციაცია „დაბრუნება“, რომლის მიზანი იყო საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის სამშობლოში დაბრუნება და შესაფერის ადგილზე დამკვიდრება გაეადვილებინა. ასოციაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ფერეიდნელ ქართველებს უთმობდა. მათთვის შეიმუშავეს სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ის პირობები, რომლებიც უნდა ყოფილიყო დაცული სამშობლოში დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველების მიმართ. დოკუმენტი მთავრობას წარუდგინეს. მასში ნათქვამია: „ფერეიდნელ ქართველთა კომპაქტურად დასახლების მიზნით გამოიყოს მიწის ნაკვეთი სოფლად, რომელიც ახლოს მდებარეობს რაიონულ ცენტრთან, ყოველ ოჯახს მიწის ნაკვეთი უნდა გადაეცეს ინდივიდუალურ მფლობელობაში, თითოეული ოჯახი უზრუნველყოფილ იქნას ბინით ან სახლით, თითოეული ფერეიდნელი ქართველი, კვალიფიკაციის მიხედვით, დაკმაყოფილდეს სათანადო სამუშაოთი. ყველა ახალმოსახლეს უფასოდ გადაეცეს უპირველესი დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთები. ახალმოსახლენი პირველი ათი წლის განმავლობაში გათავისუფლდნენ კომუნალური გადასახადებიდან (სინათლე, გაზი, წყალი, გზა). ჩამოსახლებიდან ორი წლის მანძილზე გათავისუფლდნენ მიწის რენტის გადასახადიდან. ფერეიდნელ ქართველებს ირანში დარჩენილ ნათესავთა ნახვის უფლება მიეცეთ მინიმუმ წელიწადში ორჯერ. ირანში დაბადებული ყმანვილებს არ უნდა შეეხოთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა საბჭოთა კავშირში. დაწყებითი და საშუალო განათლება მოზარდმა თაობამ ქართულ ენაზე მიიღოს, ხოლო უმაღლესი – ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ენაზე. ჩამოსულთათვის ჩამოყალიბდეს საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შემსწავლელი წრეები. თითოეულ ოჯახს უფლება მიეცეს, სურვილის მიხედვით, აიღოს გრძელვადიანი სესხი უპროცენტოდ“ .

რათა არ განმეორებულიყო 17 წლის წინათ ფერეიდნელ ქართველთა ჩამოყვანის დროს დაშვებული შეცდომები, „დაბრუნების“ წევრებმა სხვა ნიუანსებიც გაითვალისწინეს. მაგ. ასოციაციაში გაანწევრიანეს საქართველოში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების წარმომადგენელი რევამ მიქელაძე. ასოციაციის სხვა წევრებთან იგი აქტიურად მონაწილეობდა ბოლნისის რაიონის შესწავლაში, სადაც ფერეიდნელი ქართველების დასაბრუნებლად შეირჩა „თაფანის ველი“, უწინდელი

„დისველი“. აღინიშნა, რომ აქ საუკეთესო ჯიშის ვაზი ხარობს და ყოველმხრივ მოსაწონი მხარეა ირანიდან ჩამოსული ფერეიდნელ ქართველთა დასასახლებლად („თბილისი“, 1989:8).

მალე პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში დაიძაბა და ასოციაციამ აქტიური საქმიანობა ვეღარ გააგრძელა. საბჭოთა საქართველომ ფერეიდნელი ქართველების პრობლემის მოგვარება დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს უანდერძა.

§.3. ფერეიდნელ ქართველთა თანამედროვე ყოფა

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სხვისი დიქტატისაგან გათავისუფლებულ ქართველ ერს მიეცა საშუალება საკუთარი შეხედულებისამებრ წარემართა თავისი ცხოვრება. შესაბამისად, უფრო გააქტიურდა ურთიერთობები ფერეიდნელ ქართველებთანაც. მართალია, ირანული მხარე ამ ურთიერთობებს დღესაც გარკვეული ეჭვით უყურებს და სრულ თავისუფლებას ნამდვილად არ იძლევა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენ მაინც აღარ ვართ შეზღუდული საბჭოთა იდეოლოგიით, უდიდესი შეღავათია.

საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთანაც დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. პირველი ოფიციალური შეხვედრა ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის 1991 წელს განხორციელდა. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის პირველი სამმართველოს ხელმძღვანელი ბაჰრამ ყასემი ჩამოვიდა საქართველოში და შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რის შემდეგაც დაგეგმილ იქნა შეხვედრა შემდეგ წელს ირანში. „1992 წელს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ჩავიდა ირანში აკად. თ.გამყრელიძის ხელმძღვანელობით, სადაც ხელი მოეწერა შეთანხმებას ურთიერთ ცნობისა და კეთილი დამოკიდებულების შესახებ. 1993 წელს ირანში ჩავიდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. 1993 წელს საქართველოში გაიხსნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო და საკონსულო. 1994 წელს ირანში გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის საელჩო და საკონსულო“ (სონღულაშვილი, 2005:164).

2000 წლის 23 სექტემბერი უმნიშვნელოვანესი თარიღია ქართულ-ირანულ ურთიერთობათა კულტურულ ისტორიაში. ამ დღეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიძღვნილი იქნა ქართულ-ირანული ურთიერთობისადმი. 2000 წლის 24 დეკემბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრში კი გაიმართა ქართულ-ირანული პოეზიის საღამო.

2001 წლის 1-10 ოქტომბერს, ირან-საქართველოს შორის დამყარებული კარგი ურთიერთობის შედეგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფერეიდანში სამეცნიერო მივლინებით გააგზავნა ირანისტი ნომადი ბართაია, ეთნოლოგი ოთარ მიმინოშვილი და ფოტო-ჟურნალისტი მიხეილ როსტომაშვილი. აღნიშნული ექსპედიცია პირველი იყო, რომელიც მოეწყო ფერეიდანში (ბერიძე, 2004:7).

ირან-საქართველოს შორის დამყარებულმა კეთილგანწყობილმა ოფიციალურმა ურთიერთობებმა შესაფერისი გარემო შექმნა ფერეიდნელებთან უფრო მჭიდრო კავშირების დასამყარებლად. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო 2001 წელს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ოფიციალური ვიზიტი ირანში, რომლის დროსაც იგი ფერეიდანშიც ჩავიდა. ეს იყო ასეთი რანგის ოფიციალური პირის მიერ ფერეიდნელებთან უშუალოდ მისვლისა და მათი მდგომარეობის გამოკითხვის პირველი შემთხვევა.

„ცალკე აღნიშვნის ღირსია ირანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჯემშიდ გიუნაშვილის მოღვაწეობა ირან-საქართველოს კულტურულ-ურთიერთობათა სფეროში, რომლის წყალობით, მრავალ ფერეიდნელს მიღებული აქვს ირანის ოფიციალური ინსტანციებისთვის მისაღები ლიტერატურა, რაც ხელს შეუწყობს მათ ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის, ქართულ-სპარსული ურთიერთობების შესწავლის საქმეში“ (სონლულაშვილი, 2005:164).

ძალზე შთამბეჭდავი იყო 2004 წელს ირანში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჩასვლა ფერეიდანში და ის ენით აღუწერელი შეხვედრა, რომელიც ტელეარხების საშუალებით მთელმა მსოფლიომ ნახა (სონლულაშვილი, 2005:164). პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ჩასვლამ

ფერეიდანში გზა გაუხსნა ფერეიდანსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებას, რამაც ხელი შეუწყო სამომავლოდ ახალი იდეების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ფერეიდნელი ქართველების შედეგად კარგი და თბილი ურთიერთობის ჩამოყალიბება ირანსა და საქართველოს შორის (ბართაია, 2004:2). მიმდინარე წელს, ასევე, დაგეგმლი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა. საქართველოს განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ირანში წარმატებული იყო და გარკვეულ შედეგებს მოასწავებდა. განათლების მინისტრი, ასევე, არ გამორიცხავდა ქართველი ახალგაზრდებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ხელისუფლების ხარჯზე სწავლებას. მათ მიერ ქართულ და სპარსულ ენებზე დაბეჭდილი წიგნები საკმარისი არ აღმოჩნდა. აღნიშნული ვიზიტის დროს უკან გამობრუნებისას ფერეიდნელი ქართველები მოსდევდნენ მანქანებს და შესძახოდნენ წაგვიყვანეთ ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოსთვისო. ვიზიტის წარმატება აისახა იმაზე, რომ ირანის ხელისუფლებამ ყველა საკითხში თანადგომა გამოუცხადა საქართველოს ხელისუფლებას (საქ. რესპუბლიკა, 2004:3).

2004 წელს სატელევიზიო არხებმა იმედმა და რუსთავი-2-მა ფერეიდანზე შექმნეს დოკუმენტური ფილმები. ირან-საქართველოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაღებიითი ხდებოდა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კავშირს, ასევე, კავშირს დიდსა და პატარა საქართველოს შორის, რომელთა მკვიდრთ დღეს თავისუფლად შეუძლიათ ურთიერთობა (სონლულაშვილი, 2005: 165).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის იყო 2001 წელს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ირანში და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ამ ვიზიტის ფარგლებში ფერეიდანის მონახულება. ამ წელს ილია II-ის ფერეიდანში განხორციელებული ვიზიტი ირანის პრეზიდენტ მუჰამედ ჰამათის მიწვევით განხორციელდა. მისმა უწმინდესობამ მონახულა ფერეიდანი და ისინი გაამხნევა. ამ ვიზიტის შემდეგ არაერთი ფერეიდნელი ქართველი ეწვია საქართველოს. ისინი უწმინდესობას ოცნების საქართველოდან ჩამოსულს უწოდებენ. პატრიარქი ხშირად იმეორებს ფერეიდნელთა საოცარ ლოცვას – „ღმერთს ებარებოდეთ“ (კენკიშვილი, 2013). კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ

2008 წლის 9 სექტემბერს საპატრიარქოს რეზიდენციაში მიიღო 40 ფერეიდნელი ქართველი, რომლებიც მიტროპოლიტ დიმიტრის მოწვევით იყვნენ ჩამოსული საქართველოში. სტუმრობისას ფერეიდნელმა ქართველებმა ილია II-ს თავისი შემოქმედება წარუდგინეს, შეასრულეს სიმღერები და წაიკითხეს ლექსები. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-მ სტუმრებს ეროვნული ჩოხები და კაბები გადასცა საჩუქრად (საპატრიარქოს უწყებანი, 2008:13).

ფერეიდნელი ქართველების ოცნება ჩამოსულიყვნენ საქართველოში ასრულებული იქნა და 2005 წელს კიდევ 24 ფერეიდნელი ესტუმრა საქართველოს. ისინი ამაცობენ 400 წლის დაკარგული სამშობლოთი და იმედოვნებენ, რომ დროთა განმავლობაში ყველა ფერეიდნელი ოცნებას აისრულებს და ჩამოვა საქართველოში. მათი ოცნება და სრული სამშბლოს ნახვა იყო. ფერეიდანში ძალიან ბევრი ქართველია, რიცხვებით რომ ვთქვათ რამდენია, არ ვიცი – ამბობს ლუკა სეფიაშვილი, მაგრამ იმას კი აღნიშნავს, რომ ყველა ოჯახში ქართულად ლაპარაკობენ, შვილებსაც ასწავლიან ქართულს და ყველას აქვს საქართველოს ნახვის სურვილი. ის კმაყოფილია, რომ ერგო ეს ბედნიერება საქართველო ენახა საკუთარი თვალით. ძალიან მომეწონა აქაურობა, ქართველების თბილი შეხვედრაო – განაცხადა ლუკა სეფიაშვილმა.

ლუკას მსგავსად, ბედნიერები არიან საქართველოს მონახულებით მისი მეგობრებიც. ფერეიდნელების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ქართული სკოლა არ არის, ქართული წერა-კითხვა და მსობლიურ ენაზე საუბარი ყველამ იცის. აქვთ ქართული წიგნები. იციან რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, იცნობენ ქართულ მწერლების შემოქმედებას, ფოლკლორს. შვილებს ქართულ იავენანაზე ზრდიან. ისინი ქართული სკოლის გახსნაზე უარს ამბობენ, რადგან ირანის მთავრობა პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას. აღნიშნავდენ, რომ ირანის მთავრობასთან კარგად იყვნენ, რადგან ყველა მუსლიმანია. ირანს ძირითადად ეშინოდა აქედან ჩასულს ქრისტიანული წიგნები არ ჩაეტანათ. ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ სტუმრები, რომლებმაც მოიარეს საქართველოს ყველა კუთხე. როგორც თავად აღნიშნავდნენ, ძალიან მოეწონათ ქართული ეკლესია-მონასტრები, ორნამენტები, განსაკუთრებით კი „მცხეთი ჯვართ“, „სვეტიცხოველით“, „ალავერდითა“ და

„სამებით“ მოიხიბლნენ. ისინი საქართველოს პატრიარქსაც ესტუმრნენ. ერთადერთი, რაზეც გული წყდებოდათ, ისაა, რომ ამჯერად ვერ შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს.

ფერეიდნელებს საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ასეთი ლეგენდა ჰქონიათ. „გვაქვს 400 წლის წინანდელი ერთი ლეგენდა. ეს ლეგენდა მას შემდეგ არსებობს, რაც ქართველები ფერეიდანში გადაასახლეს. ამ ლეგენდის მიხედვით, ვინც ცისარტყელას ქვეშ გაივლის, საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება“, – გვიყვება ერთ-ერთი ფერეიდნელი. როგორც თავად თქვეს ამ ლეგენდას დღესაც უყვება ქართველი დედა შვილებს (**ბათუმელები, 2005:10**).

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი გაოცებული იყო იმ ფაქტით, რომ ამერიკაში, ევროპაში მცხოვრები, სულ რაღაც ათიოდე წლის წინ გადახვეწილი ქართველების შვილები ვეღარ საუბრობენ ქართულად, მაშინ როცა ფერეიდნელი ქართველები ამდენი საუკუნის შემდეგაც არათუ შესანიშნავად საუბრობენ მშობლიურ ენაზე, არამედ შესანიშნავად ასრულებენ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, კითხულობენ ლექსებს. ეს სიტყვები მან წარმოთქვა საერთაშორისო სკოლა-ბანაკში, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით დაიბადა და რომელსაც „სამშობლო“ დაარქვეს. მეუფე დიმიტრის ორგანიზებით ჩამოყვანილი იქნა ფერეიდნელი ქართველები ქობულეთში. კირიონ კათოლიკოზის სახელობის ტაძრის ეზოში თითქმის ორი თვე მასპინძლობდნენ საკუთარი ფესვების სიახლოვეს მონატრებულ ფერეიდნელ ქართველებს. მათი ყველა ლექსი და სიმღერა საქართველოზეა. 9 სექტემბერს მათ გასაცხილებლად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ყველა ის ადამიანი იყო ვისთვისაც ძვირფასია საქართველო და ყოველივე ქართული. ამოქმედდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა-ბანაკი, რომლის მიზანი იყო უცხოეთში მყოფ იმ ქართველთა ბავშვებზე ზრუნვა, რომლებსაც არ აქვთ საშუალება ისწავლონ ქართული. აქ 200-მდე ბავშვს უმასპინძლეს, მეორე ეტაპზე კი ფერეიდნიდან ჩამოვიდა 40-მდე ბავშვი და ასაკოვანი ადამიანი (**მიქელაძე, 2008:1-12**).

მეცნიერული ინტერესებით, სხვადასხვა დროს, ფერეიდანში ჩასული იყვნენ: თედო უთურგაიძე და დარეჯან ჩხუბიანიშვილი, ოთარ მიმინოშვილი, ნომადი ბართაია, მიხეილ როსტომაშვილი და სხვ. ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანში

2013 წელს ქართველ მწერალთა და გამომცემელთა ჯგუფი, რომელმაც მოინახულა ფერეიდანი. ირან-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებამ კიდევ უფრო დაახლოვა ერთმანეთთან საქართველოს ქართული მოსახლეობა და ირანელი ქართველობა. ირანელი ქართველობა საქართველოს საპატრიარქოს, კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ზრუნვის საგანი გახდა. სწორედ მისი კურთხევით აშენდა მათთვის საცხოვრებელი სახლი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ასევე თვითონ კურირებს თითოეული ირანელი ქართველის საქმიანობას. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, რომ საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში 2012 წელს გაიხსნა ერთწლიანი უფასო სკოლა ქართული ენითა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ირანელ ქართველთათვის. ასევე ინტერნეტ სივრცეში, ქართულ ენაზე მოთავსდა გიორგი ალავერდაშვილის მიერ ფერეიდნელებზე შექმნილი მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა. ამ პერიოდის მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარებული ირანში ქართველთა გადასახლების 400 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველ და ირანელ მეცნიერთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია (ბართაია, 2014:22).

2015 წელს ფერეიდნელი ქართველების მიერ ფერეიდანში, ქალაქ ფერეიდუნშაჰრში დადგმული იქნა „ქართული ანბანის“ ძეგლი, რისაც ირანის ხელისუფლება უარყოფითად შეხედა, იმის მიუხედავად, რომ ეს ფერეიდნელების მხრიდან დიდი პატივისცემა იყო როგორც საქართველოს, ასევე ირანისა, რადგან მათ დადგეს ძეგლი, რომელსაც ქართულად ეწერა „ალაჰ“. ბუნებრივია, ამით ცდილობდნენ შეენელებინათ ირანის მთავრობის გაღიზიანება, თუმცა ხელისუფლების მიერ ანბანის ძეგლი ღამით მაინც აღებული იქნა, რაც შემდეგში ახსნეს იმით, რომ ეს ძეგლი დაიდგა ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ძეგლის აღებას დიდი რეზონანსი მოყვა საქართველოშიც. ფერეიდნელმა ქართველებმა დიპლომატიური სვლით სცადეს ამ პრობლემის მოგვარება. მათ თხოვნით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა კანონიერი უფლება მიეღოთ ძეგლის დადგმისა, რომელსაც, ბუნებრივია, მათთვის სიმბოლური დატვირთა ჰქონდა (<https://www.kvirispalitra.ge>). გაზეთ

ვერსიაში არის წარმოდგენილი სტატია, რომელიც ეხება ამ საკითხს. ფერეიდნელები ოფიციალურ თბილის ადანაშაულებდა უყურადღებობაში. ერთ-ერთი ფერეიდნელი საუბრობს, ასევე ინტერნეტთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ხმა მიაწვდინონ თავიანთ სამშობლოს საკუთარი პრობლემების შესახებ, ისინი ამბობდნენ, რომ ძალიან უჭირთ მათ ინტერნეტით დაკავშირება საქართველოსთან და ძალიან ძვირად უჯდებათ ეს. ბუნებრივია, ფერეიდანში დასახლებულ ქართველებზე უფრო მეტი ყურადღებაა, რადგანაც მათ დაუმორჩილებლად მიიჩნევენ, ვიდრე სხვა ადგილებში დასახლებულ ქართველებს და მუდმივად კონტროლზე ყავთ მოსახლეობა (ნოღია, 2015:8).



ანბანის ძეგლი

016 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ფერეიდნელ ქართველებს უმასპინძლა. ისინი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით ქართული ენასა და ხალხურ სიმღერებს შეისწავლიან. ახალგაზრდებს სასახლე დაათვალიერებინა და ფერეიდანში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოველდღიურობით დაინტერესდა. მნიშვნელოვანია პროექტი, რომელსაც „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“ ახორციელებს. მისი მიზანია ფერეიდნელ ახალგაზრდებს ერთი თვის განმავლობაში შეისწავლონ ქართული ენა

და ქვეყნის მასშტაბით, გააცნონ საქართველოს ისტორიული ძეგლები (<http://ajaratv.ge/article/8369>).

ფერეიდნელი ქართველების სიყვარული თავიანთი სამშობლოს მიმართ მართლაც ძლიერია, რაზეც თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს გიორგი თორელი, რომელიც 2017 წელს იყო ფერეიდანში ჩასული. იგი პირველი ქართველია, ვინც ქართული ჩოხით ჩავიდა ფერეიდანში. ზოგს ჩოხა არც ენახა და პირველად ხედავდა. გიორგიმ ბავშვობიდან იცოდა იძულებით გადასახლებულ ფერეიდნელი ქართველების შესახებ, რამაც კიდევ უფრო გაულრმავა ინტერესი სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველების მიმართ. იგი აღნიშნავდა, რომ ცოტა შიშს განიცდიდა, რადგან მიდიოდა ქართული ეროვნული სამოსით ირანში. ეშინოდა თუ რა რეაქცია მოყვებოდა ამას. გიორგი თორელმა, როცა ის მარტყოფში შევიდა, აშკარად იგრძნო ფერეიდნელი ქართველების დიდი სიყვარული და პატივისცემა ქართული ენისადმი. მას თვალში მოხვდა ქართული წარწერები, მანქანებს „საქართველო“, ან „სამშობლო“ ეწერათ, ზოგსაც – „საქართველო, მიყვარხარ“. მთებსაც ქართული სახელები ერქვათ. როცა იგი ქართული ჩოხით დაინახეს იქ მყოფმა ქართველებმა, დაიწყეს შეძახილი – გაუმარჯოს საქართველოს. მან გაიხსენა 2001 წელს პატრიარქის ჩაბრძანება ფერეიდანში. როდესაც ილია II დასახლებაში შევიდა, თავისი დაცვა მოხსნა. ფერეიდნელებს პატრიარქი ძალიან უყვართ და პატივს ცემენო, აღნიშნავს თორელი. ამბობენ, რომ ფერეიდანში უკვე მე-17 თაობაა, რომელმაც ქართველობა შეინარჩუნა. ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ დროს – 2008 წლის 8 აგვისტოს, როცა ომი მიმდინარეობდა საქართველოში, ისინი ფიქრობდნენ თავიანთ სამშობლოზე, ტკიოდათ ის მდგომარეობა, რაც ამ დროს იყო საქართველოში. შეგროვდნენ ფერეიდნელი ბიჭები და მოდიოდნენ საქართველოს და ქართველი ხალხის დასახმარებლად (<http://kvira.ge/313520>).

ირანსა და საქართველოს შორის დღეს არსებულმა ნორმალურმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ფერეიდნელი ქართველების უფრო მჭიდრო კავშირს თავიანთ სამშობლოსთან. ქართული საზოგადოებაც კიდევ უფრო დააინტერესა ფერეიდნელი ქართველებით. გახშირდა ერთმანეთთან მიმოსვლა. ფერეიდნელ ქართველებზე ინერება წიგნები. ქართველი მოსახლეობის აქტიურობამ და

ძალისხმევამ განაპირობა ის, რომ ბევრმა ფერეიდნელმა ქართველმა გადაწყვიტა დაბრუნებოდა თავის სამშობლოს, თუმცა ბუნებრივია, ეს ყველაფერი გარკვეულ დაბრკოლებებთან ასოცირდება (ჩაფიძე, 2013: 36-37).

ზემოთ აღნიშნული ყველა სირთულის მიუხედავად, სამშობლოდან მონყვეტილი ფერეიდნელი ქართველები კარგად იცნობენ საქართველოს ისტორიას, აქვთ ქართველი მეფეებისა და მწერლების პორტრეტები, იციან ქართული ენა და წერაკითხვა. რაც მთავარია, აქვთ ისეთი ძვირფასი წიგნები, როგორებიცაა „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“. მართალია, ისინი დღეს უმთავრესად მუსლიმები და ირანის მოქალაქეები არიან, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, რჩებიან პატრიოტ ქართველებად და არასოდეს ივინყებენ თავიანთ სამშობლოს (ჩაფიძე, 2013:34).

ირანი დღეს ისლამური რესპუბლიკაა. მიუხედავად საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობებისა, ის მაინც ეწინააღმდეგება ირანში მცხოვრებ ქართველებში ეროვნული ცნობიერების გაღვივებას და, განსაკუთრებით, ქრისტიანობის აღდგენას. ალტაცების ღირსია, რომ ფერეიდნელი გურჯები ამას არ ეპუებიან – მათში ქართული სულიც სათანადო სიმღლეზა და ქრისტიანულადაც ბევრი ინათლება. ფერეიდნელი სოფო ონიკაშვილი გვიამბობს: „ირანში აუცილებელია რომ ყველა მუსულმანი იყოს, თუმცა ჩუმად მაინც ვინათლებოდით მართლმადიდებლებად, ეს რა თქმა უნდა იქაურებმა არ იციან, რადგან სასტიკად აკრძალულია, თუმცა ბევრი ქართველია მონათლული და ბევრი მართლმადიდებელია“ (<https://droni.ge/?m=3&AID=34442>).

2019 წლის 6 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) კვლავ მიიღეს სტუმრად ჩამოსული ფერეიდნელი ქართველები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. მისმა უწმინდესობამ დალოცა ფერეიდნელი ქართველები და იმედი გამოთქვა, რომ ფერეიდანში მცხოვრებნი უფრო მეტად გაძლიერდებიან რწმენაში და განამტკიცებენ ფესვებთან კავშირს. ფერეიდნელმა ქართველებმა მის უწმინდესობას მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადეს და ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა XVII-XVIII საუკუნეებში ფერეიდანში ქრისტეს

სარწმუნოებისათვის მონყვეტილთა ხსენების დღეს შედგა
(<http://patriarchate.ge/geo/სრულიად-საქართველოს-კათ-59/>).

ნაშრომი უკვე მზად იყო, როცა ფერეიდნელი გურჯების კარგ ქართველობაზე კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი გავიგეთ. 2019 წლის 11 აგვისტოდან ირანიდან (ფერეიდანიდან) სამშობლოში, წინაპრების ფუძემე, ფეხით გამოემართა სამი ქართველი: შაჰრამ ონიკაძე, ომიდ გოგონანი და ისმაილ რაჰიმი. 31 დღე ფეხით იარეს წინაპრების მიერ ტანჯვით გავლილ გზაზე და საქართველოში მოვიდნენ. ქართულმა საზოგადოებამ მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო (<https://gu.edu.ge/ge/events/shexvedra-fereidanidan-istoriul-samshobloshi-fexit-dabrunebul-qartvelebtan1.page>)

ამდენად, ფერეიდნელი ქართველები ქართველი ერის ერთი სისხლსაც და ერთგული ნაწილია. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ზენოლისა, მათში ქართული სული ვერავითარმა ძალამ ვერ ჩაკლა. უფალმა ინებოს მალე ყველა ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულე სამშობლოში დაბრუნებულიყოს და ქართული საქმის კეტება წინაპართა ნათუძარზე გაეგრძელებინოთ.

დასკვნა

1514 წელს დაიწყო ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი ყიზილბაშურ ირანსა და ოსმალურ თურქეთს შორის. ამ ომის ერთ-ერთი ძირითადი ასპარეზი საქართველო იყო. ორივე მხარე დაუინებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე, რადგან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში გაბატონება ახლო აღმოსავლეთში გაბატონების საწინდარი იყო. ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში ჩათრეული აღმოჩნდნენ ქართული პოლიტიკური ერთეულებიც. ეს ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

1587 წელს ირანის ტახტზე სეფიანთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი, უალრესად ნიჭიერი და ენერგიული, მაგრამ უსასტიკესი და ვერავი პიროვნება შაჰ-აბას I ავიდა.

1612 წელს ირან-ოსმალეთის ომი, ამ ეტაპზე, ირანის გამარჯვებით დასრულდა. შაჰ-აბასმა საქართველოსთვის მოიცალა. იგი ცდილობდა არ დაეშვა ოსმალეთის ან

ვითომ მოკავშირე რუსეთის დამკვიდრება აქ და თავად დაუფლებოდა მას ერთპიროვნულად. „ამიტომ შაჰი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას, იქ მუსულმანური მოსახლეობის ჩასახლებას და სახანოების შექმნას“. განსაკუთრებით კახეთის საკითხი დადგა აქტუალურად.

1614-1617 წლებში შაჰ-აბასი ოთხგზის შემოესია კახეთს, რის შედეგადაც კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. მდიდარი და აყვავებული ქვეყანა ნანგრევებად იქცა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა, უფრო დიდი ნაწილი კი ირანში გადაასახლეს. იმ დროს გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ისპანის პროვინციებში, აგრეთვე ხორასანში, მაზანდარანსა და სხვ.

ამიერიდან ქართველი კაცის შემოქმედებითი ნიჭი და სამხედრო შემართება ირანის აყვავებას უნდა მოხმარებოდა, სამოთხის მსგავსი ქართული მიწა კი მომთაბარე ყიზილბაში თურქმენების სამკვიდროდ გადაქცეულიყო. ასე ანგარიშობდა „ირანის ლომი“. საბედნიეროდ, მისი გეგმები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ქართველობის გადაშენებასა და გაქრობას ვერც ის და ვერც მისი მემკვიდრეები ვერ ელირსნენ.

ირანში ქართველების იძულებით გადასახლება დიდი რაოდენობით მოხდა, გადასახლებული მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთი რამ უეჭველია – გადასახლებული იქნა რამდენიმე ასეული ათასი სული. ისინი ირანის სხვადასხვა პროვინციაში დაფანტეს. ქართველთა უმეტესი ნაწილი კი დაახლეს ფერეიდანში, ისპანთან ახლოს. ქართველთა გადასახლების მიზეზი იყო ის, რომ შაჰ-აბასს სურდა ამ გზით საქართველოს დემოგრაფიული და ეკონომიკური დასუსტება, ქვეყნის სამხედრო პოტენციალის დაქვეითება, მათ ნასახლარზე კი ერთგული თურქმან-ირანელების დასახლება, ხოლო მეორე მხრივ, ქართველების ხელით სპარსეთის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობა-ვაჭრობის აღმავლობა-განვითარება, სპარსეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდა და ირანის შიდა პროვინციების დაცვა მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან.

ფერეიდანში ჩასახლებული ქართველების ყოფა-ცხოვრება საინტერესო მომენტებით არის აღსავსე. აღსანიშნავია, რომ ისლამურ გარემოცვაშიც კი ისინი დიდი ხნის განმავლობაში იცავდნენ თავიანთ სარწმუნოებას, მაგრამ იძულებული გახდნენ უხეშ ძალას დამორჩილებოდნენ და თანდათან გამაჰმადიანებულიყვნენ. თუმცა, ეს ერთბაშად არ მომხდარა და ირანელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ამისათვის. ირანის ხელისუფლება ცდილობდა, აგრეთვე, მოესპო ქართული ეკლესიები, რომლებიც გადმოსახლებულმა ქართველებმა ირანში მოხვედრისთანავე აამოქმედეს. ამით სურდა აღმოეფხვრა ქართველებში ქრისტიანობა, მაგრამ ისინი დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ სხვადასხვა ადგილებში მოწყობილ სალოცავებს.

ქართველებმა გადასახლების ადგილებში გააჩაღეს ინტენსიური სამეურნეო საქმიანობა. ძირითადად, მისდევდნენ იმ დარგებს, რაც საქართველოში იყო განვითარებული. მოჰყავდათ ყურძნის ჯიშები. მისდევდნენ მებაღეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას. მიუხედავად იმისა, რომ დრომ მათ თავისი დაღი დაასვა, ფრეიდნელმა ქართველებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული იერ-სახე და ყოფილი ნიუანსები.

იძულებით გადასახლებული ფერეიდანის ქართველობა საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო საკუთარ სამშობლოს. ისინი მხოლოდ სიზმრებში ხედავდნენ საქართველოს, საქართველოში კი მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ფერეიდანზე. ეს ისტორიული სიჩუმე დაარღვია ფერეიდნელი ათამ ონიკაშვილის ჩამოსვლამ თბილისში 1871 წელს. მას ბავშვობიდანვე ძლიერ უყვარდა ჯერ კიდევ უნახავი თავისი სამშობლო. ათამ ონიკაშვილის მოსვლის ამბავი თბილისში მალე მთელმა ქართველობამ შეიტყო. ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. ათამ ონიკაშვილმაც დაინყო საუბარი და ყველაფერი რაც კი იცოდა სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ, დანვრილებით მოჰყვა. ბევრი ქართველი ატირდა მისის საუბრით, ბევრს გადაეშალა თვალწინ საქართველოს მწარე დღეები და ის წუთები, როცა ათამ ონიკაშვილის წინაპრებს თავიანთ საყვარელ საქართველოს ამორებდნენ. ონიკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და მის მიერ ჩამოტანილი ამბების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდა ქართველი

ხალხის ინტერესი ფერეიდანის მიმართ. ბევრმა ქართველმა გამოთქვა სურვილი წასულიყო და თავისი თვალთ ენახა და გასცნობოდა იქ მცხოვრებ ქართველებს

პირველი ქართველი საქართველოდან, რომელმაც სურვილი გამოთქვა და 1895 წელს ფეხი დადგა ფერეიდანში, იყო ლადო აღნიაშვილი. მან გაიყნო იქ მცხოვრები ქართველები და გადმოგვცა მწყობრი, სისტემური ინფორმაცია მათ შესახებ. ქართველი საზოგადოების ცოდნა ფერეიდნელი ქართველების შესახებ გამდიდრდა მას შემდეგ, რაც ამბაკო ჭელიძემ იმოგზაურა ამ მხარეში. მართალია, ეს უკვე საბჭოთა პერიოდში მოხდა, მაგრამ მნიშვნელობით იგი უტოლდება ონიკაშვილისა და აღნიაშვილის მოგზაურობებს. მან ფასდაუდებელი ცნობები მოგვანოდა ფერეიდნელი ქართველების შესახებ.

ჩვენთვის ფასდაუდებელია ყველა იმ ადამიანის სწრაფვა, ჩასულიყო და მოენახულებინა ფერეიდნელი ქართველები, სწორედ მათი დამსახურებაა, რაც დღეს ვიცით ირანში მყოფი ქართველების მძიმე წარსულის შესახებ.

საბჭოთა პერიოდში გართულდა ურთიერთობა ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის, ერთმანეთისთვის მიუღებელი საბჭოთა და შაჰის რეჟიმების გამო. საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ურთიერთობის გართულების მიუხედავად მაინც ხდებოდა საქართველოსა და ფერეიდანს შორის მიმოსვლა. 1922 წელს ფერეიდნელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი ეწვია საქართველოს. სეიფოლას მიზანი იყო სკოლის დაარსება ფერეიდნელი ახალგაზრდებისთვის და ქართული ჟურნალ-გაზეთების მიწოდება მათთვის. ამ საქმეში მას ქართველი ხალხის და საბჭოთა ხელმძღვანელობის დახმარების იმედი ჰქონდა. იგი აქტიურობდა 1940-იან წლებშიც, როცა ირანზე გაიზარდა სტალინის ხელისუფლების გავლენა. აღსანიშნავია, რომ „1943 წელს, როდესაც სტალინი თეირანის კონფერენციაზე ჩავიდა, აუდიენციაზე ეწვია შაჰს სასახლეში. შაჰი ისე დაიბნა, რომ მუხლებზე დაემხო და სტალინს მხსნელი უწოდა“. ამ დროისათვის გახმიანდა გეგმა ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში დაბრუნებისა და სამხრეთ აზერბაიჯანის აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკასთან შეერთების თაობაზე. პარალელურად დაისვა საკითხი, გეგმის განხორციელების შემთხვევაში საბჭოთა აზერბაიჯანის ქართული რაიონების – ჰერეთის (საინგილოს) საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესია.

ამ წლებში საქართველოდან ფერეიდანში რამდენჯერმე ჩავიდა ქართული დელეგაცია, რომელმაც ძვირფასი ინფორმაცია შეკრიბა აქაურებზე.

50-იან წლებში თითქმის შეწყდა ურთიერთობა ფერეიდანთან. სტალინის გარდაცვალებამ, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად დაძაბა.

ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაში გამორჩეულია 1972 წელი. სწორედ ამ წელს მოხდა ირანიდან 21 ქართული ფერეიდნული ოჯახის სამშობლოში დაბრუნება. თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, 9 ოჯახი უკან დაბრუნდა. შემდგომ წლებში იყო მცდელობა მდგომარეობის გამოსწორებისა. ამისათვის 1980-იანი წლების ბოლოს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნა ასოციაცია „დაბრუნება“, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ფერეიდნელების პრობლემის მოგვარება იყო. მალე პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში დაიძაბა და ასოციაციამ აქტიური საქმიანობა ვეღარ გააგრძელა. საბჭოთა საქართველომ ფერეიდნელი ქართველების პრობლემის მოგვარება დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს უანდერძა.

საქართველოსა და ფერეიდნელ ქართველებს შორის უფრო მეტად გააქტიურდა ურთიერთობა თანამედროვე პერიოდში, როცა 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ქართველ ხალხს გაეხსნა გზა თავისუფლებისაკენ.

ირანთან დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. 1992 წელს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ჩავიდა ირანში, სადაც ხელი მოეწერა შეთანხმებას ურთიერთ ცნობისა და კეთილი დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულ პერიოდში იწყება ურთიერთობის ახალი ეტაპი. 1993 წელს ირანში ჩასული იყო საქართველს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მნიშვნელოვანი იყო 2001 წელს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ოფიციალური ვიზიტი ირანში, რომლის დროსაც იგი ფერეიდანშიც ჩავიდა. 2004 წელს

კი იქ ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილიც. მისი ვიზიტი ფერეიდანში წარმატებული იყო და გარკვეული შედეგებიც გამოიღო.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის იყო 2001 წელს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ირანში და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ, ასევე ხორციელდებოდა ირანში მყოფი ქართველების ჩამოყვანა მშობლიურ მხარეში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დახმარებით.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის იყო 2001 წელს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი ირანში და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ამ ვიზიტის ფარგლებში ფერეიდანის მონახულება. ამ წელს ილია II-ის ფერეიდანში განხორციელებული ვიზიტი ირანის პრეზიდენტ მუჰამედ ჰამათის მიწვევით განხორციელდა. მისმა უწმინდესობამ მონახულა ფერეიდანი და ისინი გაამხნევა. ამ ვიზიტის შემდეგ არაერთი ფერეიდნელი ქართველი ეწვია საქართველოს. ისინი უწმინდესობას ოცნების საქართველოდან ჩამოსულს უწოდებენ. პატრიარქი ხშირად იმეორებს ფერეიდნელთა საოცარ ლოცვას – „ღმერთს ებარებოდეთ“

ირანელი ქართველობა საქართველოს საპატრიარქოს, კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ზრუნვის საგანი გახდა. სწორედ მისი კურთხევით აშენდა მათთვის საცხოვრებელი სახლი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ასევე თვითონ კურირებს თითოეული ირანელი ქართველის საქმიანობას.

ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა მიმოსვლა ფერეიდანსა და საქართველოს შორის. ფერეიდანიდან ბევრი ჩამოდის წინაპართა სამშობლოში, ნაწილი სამუდამოდ რჩება აქ. საქართველოდანაც ბევრი სტუმრობს ფერეიდანს, მათ შორი მეცნიერული მიზნებითაც.

ფერეიდნელი გურჯები გამოირჩევიან საქართველოს სიყვარულით. სხვა ფაქტებს შორის აღსანიშნავია ორი მათგანი: 1) 2015 წელს მათ მიერ ფერეიდანში, ქალაქ ფერეიდუნმაჰრში აღმართული იქნა „ქართული ანბანის“ ძეგლი, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია ირანსა და საქართველოში; 2) 2019 წლის 11 აგვისტოდან ირანიდან (ფერეიდანიდან) სამშობლოში, წინაპრების ფუძეზე, ფეხით გამოემართა სამი ქართველი: შაჰრამ ონიკაძე, ომიდ გოგონანი და ისმაილ რაჰიმი. 31 დღე ფეხით

იარეს წინაპრების მიერ ტანჯვით გავლილ გზაზე და საქართველოში მოვიდნენ. ქართულმა საზოგადოებამ მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ხოლო განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ირანის ხელისუფლების მხრიდან სასტიკი აკრძალვისა, „ბევრი ქართველია მონათლული და ბევრი მართლმადიდებელია“.

ამდენად, ფერეიდნელი ქართველები ქართველი ერის ერთი სისხლსაც და ერთგული ნაწილია. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ზეწოლისა, მათში ქართული სული ვერავითარმა ძალამ ვერ ჩაკლა. უფალმა ინებოს მალე ყველა ჩვენი ფერეიდნელი თანამემამულე სამშობლოში დაბრუნებულიყოს და ქართული საქმის კეტება წინაპართა ნათუძარზე გაეგრძელებინოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალექსაია, ზოსიძე, 2013: – ალექსაია ს., ზოსიძე., „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე)“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
- აღნიშვილი, 1896: – ლადო აღნიშვილი, „სპარსეთი და იქაური ქართველები“, ტფილისი, 1896.
- ბათუმელები, 2005: – „ფერეიდნელი ქართველები ბათუმში“, გაზ. „ბათუმელები“, 2005წ. №29.
- ბართაია, 2001 : – ბართაია ნომადი, „ირანული ჩანახატები“, თბილისი, 2001.
- ბართაია, 2004: – ბართაია ნომადი, „სამშობლოსკენ გამოწვდილი ხელი“, „მწერლის გაზეთი“, 2004, №18.
- ბართაია, 2014: – ბართაია ნომადი, „სამი პერიოდი საქართველოსა და ირანელ ქართველთა ურთიერთობაში“, კრ.: ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, III, თბილისი, 2014.
- ბერიძე, 2004: - ბერიძე ციური, „ლადო აღნიშვილი და ფერეიდნელი ქართველები“, „ჩაკრულო“, 2004, №1.
- ბერძენიშვილი, 1973: – ბერძენიშვილი ნ., „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნ. VI, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
- ბრეგვაძე, 1974: – ბრეგვაძე ნ., „ხორბლის ძველ ქართული ჯიშები ფერეიდანში“, „ძეგლის მეგობარი“, 1974.
- „თბილისი“, 1989: – „ფერეიდნელ ქართველთა მოლოდინში“, გაზ. „თბილისი“, 1989, №135.
- გეორგიკა, 1965: – „გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, II, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1965
- თოფჩიშვილი, 2010: – თოფჩიშვილი როლანდ, „საქართველოს ეთოგრაფია/ეთნოლოგია“, უნივერსალი, 2010.
- იმედაშვილი, 1929 : – იმედაშვილი იოსებ, „ლადო აღნიშვილი“, 1929.

ისკანდერ მუნში, 1969: – „ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1969.

კვირიკაშვილი, 2006: – კვირიკაშვილი ლეილა, „ფერეიდნელებზე არავინ ფიქრობს“, გაზ. „ასავალ დასავალი“, 2006, №20.

კირთაძე, 2013: – კირთაძე თამთა, „ფერეიდნული წეს-ჩვეულებები“, კრ.: „სტუდენტური ექსპედიცია ირანში“, თბილისი 2013.

კენკიშვილი, 2013: – კენკიშვილი კ., „ისეთი პატრიარქი, როგორც ჩვენია, არავის არ ჰყავს“, გაზ. „კვირის პალიტრა“, 14.01.2013, ინტერნეტ-მისამართი: <https://www.kvirispalitra.ge/martlmadidebluri/15181-qisethi>

მამულია, 2005: – მამულია გიორგი, „თუ ბაგიროვი ირანის აზერბაიჯანს მიიღებდა, საქართველოსთვის საინგილო უნდა დაეთმო“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, №243.

მიქელაძე, 2008: – მიქელაძე მანანა, „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!“ გაზ. „აჭარა“, 2008, №1001.

ნაჭყეპია, 2000 : – კ. ნაჭყეპია, „თეირანი“, კრებული „გაფრინდი შავო მერცხალო“, თბილისი, 2000.

ნოღია, 2015: – ნოღია ნათია, „დავკარგეთ აფხაზეთი სამაჩაბლო და ახლა ჩვენს გულსაც ვეღარ დაიბრუნებთ – რა პრეტენზიები აქვთ ფერეიდნელ ქართველებს ოფიციალურ თბილისთან“, გაზ. „ვერსია“, 2015, №34.

საათაშვილი, 2013: – სოფიო საათაშვილი, „ფერეიდნული ამბები – კოლექტიური მესხიერების ნიმუშები“, კრ.: „სტუდენტური ექსპედიცია ირანში“, თბილისი, 2013.

სანიკიძე, 1994: – სანიკიძე ლ., „საქართველოს ისტორია თვალის ერთი გადავლებით“, გამომც. „სამშობლო“, თბილისი, 1994.

საქართველოს რესპუბლიკა, 2004: – „ფერეიდნელები ჩვენთან ისწავლიან საქართველოს რესპუბლიკა“, №158.

საქართველოს ისტორია, 2012: – „საქართველოს ისტორია“ (საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე), III, თბილისი, 2012.

საპატრიარქოს უწყებანი, 2008: – „ფერეიდნელი ქართველები სტუმრად საქართველოში“, გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2008, №31.

სონლულაშვილი, 2005: – სონლულაშვილი ავთანდილ, „ირანში ქართველთა ნაკვალევზე“, თბილისი 2005.

ფრუიძე, 1975: – ფრუიძე ლ. „ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები“, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975.

ფუთურიძე, 1969: – ფუთურიძე ვლადიმერ, „ისქენდერ მუშის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბილისი, 1969.

ქართლის ცხოვრება, 1959: – „ქართლის ცხოვრება“, II, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისის 1959.

შარაშენიძე, 1979: – შარაშენიძე ზურაბ, „ფერეიდნელი გურჯები“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

შარაშენიძე, 1969: – შარაშენიძე ზურაბ, „ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“, თბილისი, 1969.

ცაგარეიშვილი, 1981: – ცაგარეიშვილი თამილა, „ფერეიდნელები საქართველოში“, თბილისი, 1981.

წონკოლაური, 2015: – წონკოლაური ავ., „საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2015.

ჭიპაშვილი, 1963: – ჭიპაშვილი გიორგი, „ფერეიდნელი ქართველები“, თბილისი, 1963.

ჭიჭინაძე, 1895: – ჭიჭინაძე ზაქარია, „ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული ქართველი სპარსელი ათამ ონიკაშვილი“, თბილისი, 1895.

ჭელიძე, 1935: – ჭელიძე ამბაკო, „ფერეიდნელი ქართველები“, თბილისი, 1935.

ჯავახიშვილი..., 1943: – აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1943.

<http://patriarchate.ge/geo/სრულიად-საქართველოს-კათ-59/>

<https://www.kvirispalitra.ge>

<http://kvira.ge/313520>

<http://ajaratv.ge/article/8369>

<http://freeuni.edu.ge/ge/node/657>

<http://www.fereidani.ge/articles/236/nakvalevze.php>

<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000164/>

<https://droni.ge/?m=3&AID=34442>

<http://ajaratv.ge/article/8369>

<http://urakparaki.com/?m=4&ID=24816>

https://ka.wikipedia.org/wiki/შაჰ_აბასის_ლაშქრობები_საქართველოში

<https://storybuilder.jumpstart.ge/ka/pereidani-patara-saqartvelo>

<https://ka.wikipedia.org/wiki/>